პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 41-ე წელი
№ 22 (11936)

პარასკევი, 27 იანვარი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, დაუცხრომლად ამხილებს იმპერიალისტთა აგრესიულ ზრახვებს, გააძლიერებს ხალხთა სიფხიზლეს მშვიდობის ყველა მტრის მიმართ.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან — „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ“).

ნ. ს. ხრუშჩოვი

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გამარჯვებებისათვის

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების გამო

ამხანაგებო! 81 მარქსისტულ-ლენინური პარტიის წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც 1960 წლის ნოემბერში მოსკოვში გაიმართა, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი. ამ თათბირმა ღრმა ანალიზი გაუკეთა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, შეიმუშავა ჩვენი მოძრაობისათვის საერთო პოზიციები უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ამ თათბირის შედეგად, რომელმაც ძმური ერთიანობის ვითარებაში ჩაიარა, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ყველა ქვეყნის კომუნისტთა მრავალმილიონიანი ოჯახი, გამრავლდა მათი ძალები მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის გმირულ ბრძოლაში.

თათბირის მუშაობაში რომელიც ყველაზე წარმომადგენლობითი იყო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მთელ ისტორიაში, მონაწილეობდნენ ჩვენი მოძრაობის ვეტერანები, ვინც მკაცრი ბრძოლის მრავალი წელი გამოიარა და ვინც ვერ გატეხა ფაშისტი ჯალათების და მუშათა კლასის სხვა მტრების მიერ წამებამ. მასში მონაწილეობდნენ სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეები, წარმომადგენლები კომუნისტური პარტიებისა, რომლებიც მძიმე პირობებში გმირულ ბრძოლას ეწევიან კაპიტალიზმის წინააღმდეგ; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლი ლიდერები; ერთი სიტყვით, ამ თათბირზე იყო საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საუკეთესო ნაწილი.

ახლა, როცა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კომუნისტები გაცხოველებით განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ თათბირის განცხადებას და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი, განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს, რომ თათბირის მონაწილეებმა ამაოდ როდი მოახმარეს თავიანთ ერთობლივ მუშაობას ბევრი დრო და ღონისძიებანი. მშრომელი კაცობრიობა რწმუნდება იმაში, რომ მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა გაამართლეს ხალხთა იმედები.

თათბირის მუშაობას დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს მილიარდზე მეტი ადამიანი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ თათბირის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება სოციალისტური ბანაკი, კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგები. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, მშრომელები მოელოდნენ პასუხს კითხვებზე, თუ საუკეთესოდ როგორ აწარმოონ ბრძოლა თავიანთი რევოლუციური მიზნებისათვის, სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, უფრო წარმატებით როგორ გაუწიონ წინააღმდეგობა იმპერიალისტურ რეაქციას. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი თათბირისაგან მოელოდნენ პასუხს იმ კითხვებზე, თუ უფრო სწრაფად და სამუდამოდ როგორ მოუღონ ბოლო კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემას, უზრუნველყონ განთავისუფლებული ქვეყნების განვითარება ეროვნული დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზით.

მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა მოელოდა თათბირისაგან პასუხს თანამედროვეობის ყველაზე მწვავე კითხვაზე — როგორ ავიცილოთ მსოფლიო თერმოატომური ომი და მივაღწიოთ მტკიცე მშვიდობას დედამიწაზე, მეგობრობას ყველა ხალხთა შორის, როგორ უზრუნველვყოთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა.

ასეულ მილიონობით ადამიანმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ღრმა კმაყოფილება განიცადა, თათბირის მუშაობის შედეგები რომ შეიტყო.

თათბირის შედეგად ფრიად მნიშვნელოვნად გამდიდრდა საერთაშორისო კომუნიზმის იდეური საგანძური. თათბირის მიერ ერთხმად მიღებული განცხადება უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საბრძოლო მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტია. მასში დადასტურებულია კომუნისტური პარტიების ერთგულება 1957 წლის დეკლარაციისადმი. ამასთან ერთად მასში მოცემულია მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარე ახალ მოვლენათა ღრმა ანალიზი, იგი შეიცავს ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის მოღვაწეობისათვის დიდმნიშვნელოვან თეორიულ და პოლიტიკურ დასკვნებს. განცხადება საიმედო კომპასი იქნება ყველა ქვეყნის კომუნისტების, მუშათა კლასის, პროგრესული ადამიანების წინაშე მდგომი დიადი მიზნებისათვის შემდგომ ბრძოლაში.

განცხადებაში მოცემულია თანამედროვე ეპოქის მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა, ნაჩვენებია ახალი პერსპექტივები, რომლებიც ისახება საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. თათბირის დოკუმენტები გვიჩვენებენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების, აგრეთვე სოციალისტური ბანაკის შემდგომი შეკავშირების გზებს, განსაზღვრავენ კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლის, სამარცხვინო კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების გაერთიანებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვა შეიცავს მგზნებარე მოწოდებას შეკავშირდნენ თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის გადაჭრისათვის, მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად. მიმართვა კვლავ მოწმობს იმას, რომ სწორედ ჩვენ, კომუნისტები, ვართ ხალხის მასების ინტერესების ყველაზე თანმიმდევარი დამცველები და ვუჩვენებთ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ერთადერთ სწორ გზას.

თათბირის მუშაობა გამსჭვალული იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, პარტიული დემოკრატიის სულისკვეთებით, კომუნისტთა რიგების ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებისადმი მისწრაფებით. ყველა პარტიის დელეგაციებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი შეხედულებანი, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება, თავიანთი წვლილი შეიტანეს თანამედროვეობის ძირეული პრობლემების შეფასებასა და დამუშავებაში.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობის განმტკიცება, საერთაშორისო კომუნისტური ფრონტის კიდევ უფრო მეტი კონსოლიდაცია მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ბაზაზე — ეს თათბირის მთავარი შედეგია. ეს არის კომუნისტთა ახალი იდეური და პოლიტიკური გამარჯვება, დიდი ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება. ამასთან ერთად ეს კომუნიზმისა და პროგრესის მტრების ახალი დამარცხებაა. იმპერიალისტებსა და მათს ლაქიებს მწარედ გაუცრუვდათ იმედი, თათბირის დოკუმენტებს რომ გაეცნენ. ყველა საფუძველი გვაქვს მტკიცედ განვაცხადოთ, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, რომლისაც როგორც ცეცხლისა ეშინია იმპერიალისტურ რეაქციას, ახლა კიდევ უფრო განმტკიცდა. ეს ჩვენი საერთო საქმის დიდი წარმატებაა.

1. ჩვენი ეპოქა მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების ეპოქაა

ანალიზი მსოფლიო ვითარებისა, როგორც იგი XX საუკუნის სამოციანი წლების დამდეგისათვის ჩამოყალიბდა, არ შეიძლება არ იწვევდეს დიადი კომუნისტური მოძრაობის თვითეული მებრძოლის ღრმა კმაყოფილებისა და კანონიერი სიამაყის გრძნობას. მართლაც, ამხანაგებო, ცხოვრებამ ბევრად გადააჭარბა თვით ყველაზე გაბედულ, ყველაზე ოპტიმისტურ განჭვრეტასა და მოლოდინს.

წინათ ამბობდნენ: ისტორია სოციალიზმისათვის მუშაობსო, ამასთან გულისხმობდნენ, რომ კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს კაპიტალიზმს სანაგვეში გადააგდებს, სოციალიზმი კი გაიმარჯვებს. ჩვენს დროში უკვე შეიძლება ვამტკიცებდეთ, რომ სოციალიზმი მუშაობს ისტორიისათვის, ვინაიდან თანამედროვე ისტორიული პროცესის ძირითად შინაარსს შეადგენს სოციალიზმის დამყარება და დამკვიდრება საერთაშორისო მასშტაბით.

1913 წელს, ესე იგი ოქტომბრის რევოლუციამდე ოთხი წლით ადრე, ჩვენი უკვდავი ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „კომუნისტური მანიფესტის“ დროიდან მსოფლიო ისტორია აშკარად იყოფა სამ მთავარ პერიოდად. პირველია 1848 წლის რევოლუციიდან პარიზის კომუნამდე (1871); მეორე — პარიზის კომუნიდან რუსეთის რევოლუციამდე (1905): მესამე — რუსეთის რევოლუციიდან. და იგი ამ პერიოდების დახასიათებას ამთავრებდა სიტყვებით: „მას შემდეგ, რაც მარქსიზმი გაჩნდა, მსოფლიო ისტორიის სამი დიდი ეპოქიდან თვითეულს მოჰქონდა მისთვის ახალი დადასტურება და ახალი ტრიუმფები. მაგრამ მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა“ (თხზ., ტ. 18, გვ. 709).

ეს წინასწარმეტყველური სიტყვებია, ისინი განსაცვიფრებელი ძალითა და სიზუსტით ახდა, ისტორიული ეპოქა. რომელსაც გენიალურად განჭვრეტდა ვ. ი. ლენინი, მსოფლიო ისტორიის თვისებრივად, პრინციპულად ახალი ეპოქა გახდა. ვერც ერთი წინა ეპოქა ვერ შეედრება მას. ეს იყო ეპოქები, როცა მუშათა კლასი ძალებს იკრებდა, როცა მისი გმირული ბრძოლა თუმცა აზანზარებდა კაპიტალიზმის შენობას, მაგრამ კიდევ არ შეეძლო გადაეწყვიტა მთავარი საკითხი — მშრომელთა ხელში ძალაუფლების გადასვლის შესახებ. ახალ ეპოქას ყველა წინა ეპოქისაგან განასხვავებს სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, რომელსაც დასაწყისი მისცა 1917 წლის ოქტომბერმა. მას შემდეგ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ზედიზედ აღწევს ტრიუმფალურ გამარჯვებებს. და ამჟამად მისი დიადი ძალა, მისი გარდამქმნელი როლი თავს იჩენს არა მარტო ცალკეული ქვეყნებისა და კონტინენტების ფარგლებში, არამედ მსოფლიოს ყველა ნაწილის საზოგადოებრივ განვითარებაშიც.

არის მთელი რიგი მიზეზები, რომლებიც სოციალიზმის მსვლელობას უძლეველს ხდიან. უწინარეს ყოვლისა, უკვე დღეს მარქსიზმ-ლენინიზმი დაუფლებულია პირდაპირ ასეულ მილიონობით ადამიანთა შეგნებას და ამით წარმოადგენს, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მძლავრ მატერიალურ ძალას. შემდეგ. მარქსიზმ-ლენინიზმი დღეს კაცობრიობის წინაშე გამოდის არა მარტო როგორც თეორია, არამედ როგორც ცოცხალი სინამდვილეც. სოციალისტური საზოგადოება, რომელიც ევროპისა და აზიის თვალუწვდენ სივრცეებზე იქმნება, განასახიერებს ამჟამად ამ მოძღვრებას. ახლა უკვე მსოფლიოში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ძალა, რომელმაც შეძლოს შეაჩეროს ხალხთა უდიდესი მასების სულ უფრო მზარდი სწრაფვა იმისაკენ, რომ საკუთარი თვალით იხილონ და, ასე ვთქვათ, საკუთარი ხელით „მოსინჯონ“, როგორ გამოიყურება სოციალიზმი არა წიგნებსა და მანიფესტებში, არამედ ცხოვრებაში, პრაქტიკაში. ახლა მსოფლიოში არ არის ძალა. რომელსაც შეეძლოს შეაფერხოს სულ ახალი ქვეყნების ხალხთა მოძრაობა სოციალიზმისაკენ. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთ გარემოებას. თუ გუშინ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ასეულ მილიონობით ადამიანი დაბეჩავებული იყო იმპერიალისტ „ცივილიზატორთა“ უღლით, დღეს სურათი ძირეულად იცვლება. ისტორიულ ასპარეზზე სულ ახალი ხალხების რევოლუციური გამოსვლა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენის სფეროს უმაგალითო გაფართოებისათვის. შორს არ არის ის დრო, როცა მარქსიზმ-ლენინიზმი დაეუფლება დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის შეგნებას. ის, რაც მსოფლიოში ხდება ორმოცდასამი წლის მანძილზე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ყოველმხრივ ადასტურებს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის მეცნიერულ სიზუსტესა და სიცოცხლისუნარიანობას.

თანამედროვე პირობებში სასარგებლოა აღვადგინოთ მეხსიერებაში, თუ როგორ ახასიათებდა ლენინი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის თვით პროცესს, მასში მონაწილე ძალებს: „...სოციალისტური რევოლუცია, — აღნიშნავდა ლენინი, — არ იქნება მარტოოდენ და უმთავრესად რევოლუციური პროლეტარების ბრძოლა თვითეულ ქვეყანაში თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, — არა, იგი იქნება იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ყველა კოლონიისა და ქვეყნის, ყველა დამოკიდებული ქვეყნის ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ (თხზ., ტ. 30, გვ. 175-176). ხაზგასმით აღნიშნავდა რა, რომ ეს ბრძოლა მიმართულია უწინარეს ყოვლისა ეროვნული განთავისუფლებისაკენ, ლენინი ამბობდა: „და სრულიად ცხადია, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მოძრაობა, თავდაპირველად ეროვნული განთავისუფლებისაკენ მიმართული, პირს იბრუნებს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და, იქნებ, მან გაცილებით მეტი რევოლუციური როლი შეასრულოს, ვიდრე ჩვენ მოველით“ (თხზ., ტ. 32, გვ. 614).

ახლა, როცა უკვე შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, როცა ადგილი აქვს ანტიიმპერიალისტური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების უდიდეს აღმავლობას, საჭირო იყო განგვესაზღვრა მსოფლიო განვითარების შემდგომი მსვლელობა, პერსპექტივა. ეს კი შეუძლებელია, თუ ღრმად არ გვესმის ჩვენი ეპოქის გადამწყვეტი ამოცანების არსი, შინაარსი, ხასიათი.

საკითხი ეპოქის ხასიათის შესახებ სრულებითაც არ არის აბსტრაქტული, ვიწროთეორიული საკითხი. მასთან განუყრელად დაკავშირებულია მსოფლიო კომუნიზმის, თვითეული კომუნისტური პარტიის სტრატეგიული ხაზი და ტაქტიკა.

იმპერიალიზმის იდეოლოგები, აგრეთვე მათი ხელშემწყობნი რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის ბანაკიდან, განსაკუთრებულ ვარაუდს ამყარებენ იმაზე, რომ დაამახინჯონ თანამედროვე ეპოქის ხასიათი. ასეთი ფალსიფიკაციის მიზანი სავსებით გარკვეულია: დეზორიენტაცია შეიტანონ ხალხთა ფართო მასებში, ააცდინონ ისინი რევოლუციურ გზას, მიაბან იმპერიალიზმის ეტლს. საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს კაპიტალიზმი აგონიას კი არ განიცდის, არამედ ახორციელებს რაღაც გათვალისწინებულ „ევოლუციურ“ შეცვლას სოციალიზმში. სწორედ ეს არის ყბადაღებული თეორია კაპიტალიზმის ეგრეთწოდებული „ტრანსფორმაციის“ შესახებ. ფალსიფიკატორები ამტკიცებენ, რომ ამგვარი „ტრანსფორმაციით“ დაინტერესებულია საზოგადოების პირდაპირ ყველა კლასი და ამიტომ ამჟამად კაპიტალიზმის წიაღში მშვიდობა და ჰარმონია სუფევსო. ასე ხატავენ თანამედროვე ეპოქას ბურჟუაზიული იდეოლოგები, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები და კომუნიზმის რევიზიონისტი რენეგატები. შემთხვევითი როდია, რომ კაპიტალიზმის იდეოლოგები ცდილობენ ცნებები „კაპიტალიზმი“ და „იმპერიალიზმი“ შეცვალონ თითიდან გამოწოვილი ისეთი განსაზღვრებით, როგორიც არის „სახალხო კაპიტალიზმი“ ან „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“.

ბუნებრივია, უნდა ვამხილოთ ეს იდეოლოგიური დივერსიები და დავუპირდაპიროთ მათ ეპოქის ჩვენი მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური დახასიათება. ეს ჩვენ იმისათვის გვჭირდება, რომ სწორად განვსაზღვროთ ძალთა თანაფარდობა. გამოვიყენოთ ახალი შესაძლებლობანი, რომლებსაც გადაგვიშლის თანამედროვე ეპოქა ჩვენი დიადი საქმის შემდგომი წინსვლისათვის.

რა მოთხოვნებს უნდა უპასუხებდეს ჩვენი ეპოქის მარქსისტულ-ლენინური დახასიათება? მან უნდა მოგვცეს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რომელი კლასი დგას ეპოქის ცენტრში და როგორია საზოგადოებრივი განვითარების მთავარი შინაარსი, მიმართულება და ამოცანები. მეორე, მოიცვას მთელი რევოლუციური პროცესი სოციალიზმის დამკვიდრებიდან კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. მესამე, გვიჩვენოს ძალები, რომლებიც ემხრობიან ჩვენი ეპოქის ცენტრში მდგომ მუშათა კლასს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ საერთო ნაკადში შემავალი მოძრაობანი.

იმ პერიოდში, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ქვეყნების უკვე დიდ ჯგუფში, როცა სოციალიზმი მძლავრი მსოფლიო სისტემა გახდა, როცა მოახლოებულია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის სრული დანგრევა, ხოლო იმპერიალიზმი დაცემულობისა და კრიზისის მდგომარეობაშია, ჩვენი ეპოქის განსაზღვრამ უნდა ასახოს ეს გადამწყვეტი მოვლენები.

თათბირის განცხადებაში მოცემულია ეპოქის შემდეგი განსაზღვრა: „ჩვენი ეპოქა, რომლის ძირითად შინაარსს შეადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დაიწყო დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არის ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის ნგრევის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე ახალი და ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა“.

თანამედროვე ეპოქის ხასიათის ეს განსაზღვრა შეიძლება მივიჩნიოთ დიდი და პასუხსაგები ამოცანის შემოქმედებითი, ნამდვილად მეცნიერული გადაწყვეტის მაგალითად. ამ განსაზღვრის ძალა იმაშია, რომ იგი სწორად ახასიათებს მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობის მთავარ მიღწევებს, უსახავს კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას მსოფლიო მასშტაბით კომუნიზმის გამარჯვების ნათელ პერსპექტივებს.

განვსაზღვრავთ რა მთელი თანამედროვე ეპოქის არსსა და ხასიათს, ჩვენთვის მეტად დიდმნიშვნელოვანია გავერკვეთ მისი ახლანდელი ეტაპის მთავარ თავისებურებებსა და განმასხვავებელ ნიშნებში. თუ ოქტომბრისშემდგომი პერიოდის შეფასებას მისი მთავარი მამოძრავებელი ძალების თვალსაზრისით მივუდგებით, ეს პერიოდი აშკარად იყოფა ორ ეტაპად. პირველი დაიწყო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით. ეს იყო, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, პროლეტარიატის ეროვნული დიქტატურის, ესე იგი მარტო რუსეთის ეროვნულ ფარგლებში პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებისა და განვითარების პერიოდი.

თუმცა თავისი არსებობის პირველი დღიდანვე საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ცხოვრებაზე, მაინც იმპერიალიზმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა საერთაშორისო ურთიერთობის მსვლელობასა და ხასიათს. მაგრამ მაშინაც კი იმპერიალიზმმა ვერ შეძლო დაემხო საბჭოთა კავშირი, ხელი შეეშალა მისთვის იმაში, რომ გადაქცეულიყო მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომელიც გახდა პროგრესისა და ცივილიზაციის საქმის დასაყრდენი, მთელი იმ ძალების მიზიდულობის ცენტრი, რომლებიც იმპერიალისტური ჩაგვრისა და ფაშისტური დამონების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

თანამედროვე ეპოქის განვითარების მეორე ეტაპი დაკავშირებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნასთან. ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის რევოლუციური პროცესია. ოქტომბრის რევოლუციამ იმპერიალიზმის ჯაჭვი გაწყვიტა ერთ რგოლში. შემდეგ განხორციელებულ იქნა იმპერიალიზმის ჯაჭვის ფრონტალური გარღვევა. თუ წინათ ლაპარაკობდნენ იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტაზე ერთ ან რამდენიმე რგოლში, ახლა სინამდვილეში უკვე აღარ არის იმპერიალიზმის ყოვლისმომცველი ჯაჭვი. მუშათა კლასის დიქტატურა ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და ინტერნაციონალური ძალა გახდა. იმპერიალიზმმა დაკარგა არა მარტო ის ქვეყნები, რომლებშიც სოციალიზმმა გაიმარჯვა. იგი სწრაფად კარგავს თითქმის ყველა თავის კოლონიას. სავსებით გასაგებია, რომ ასეთი დარტყმებისა და დანაკლისის შედეგად უაღრესად გაძლიერდა კაპიტალიზმის საერთო კრიზისი და მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობამ ძირეული ცვლილებები განიცადა სოციალიზმის სასარგებლოდ.

ჩვენი დროის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა. ეს თავის უშუალო ასახვას

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

მოხსენება, წარმოთქმული სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციების საერთო კრებაზე 1961 წლის 6 იანვარს. გამოქვეყნებულია ჟურნალში „პრობლემი მირა ი სოციალიზმა“ № 1, 1961 წ.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კიევი, 26 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოწვეული არიან სოფლის მოწინავე ადამიანები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები. სულ ესწრება დაახლოებით 12 ათასი კაცი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს საკითხს „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის იანვრის პლენუმის შედეგები და უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი“.

მომხსენებელმა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ ილაპარაკა მასების შემოქმედებითი აქტივობის უდიდეს აღმავლობაზე, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა და პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ გამოიწვია. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავლინებენ მარცვლის ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების რეზერვებს. იმუშავებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

შარშან, აღნიშნა ამხ. პოდგორნიმ; უკრაინაში დაშვებულ იქნა დიდი ნაკლოვანებანი და შეცდომები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში, შესუსტდა ორგანიზატორული მუშაობა. რესპუბლიკამ აწარმოვა უფრო ნაკლები მარცვალი, ხორცი, რძე, ვიდრე 1960 წლის გეგმით იყო გათვალისწინებული, ვერ შეასრულა მარცვლის. რძის, კვერცხის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, კარტოფილის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა. ამისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე რესპუბლიკა მკვეთრად და სამართლიანად გააკრიტიკეს.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა. უკრაინის ყველა მშრომელმა სწორი დასკვნები გამოიტანეს ამ კრიტიკიდან და ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას.

— მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, შვიდწლიანი გეგმის დიად დავალებათა შესასრულებლად — ასეთი ლოზუნგით აჩაღებენ ახლა უკრაინის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

სეკუ ტურეს დეპეშა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს

მოსკოვი, 25 იანვარი. (საკდესი). გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ დეპეშა გამოუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელშიც გამოთქვამს მადლობას მისალოცი წერილისათვის, რაც მათ გაუგზავნეს გვინეის პრეზიდენტის ამასწინანდელი არჩევნების გამო.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გამარჯვებებისათვის

(გაგრძელება)

პოულობს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროშიც. თანამედროვე პირობებში შექმნილია წანამძღვრები იმისათვის, რომ სოციალიზმი სულ უფრო მეტად განსაზღვრავდეს საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათს, მეთოდებსა და გზებს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იმპერიალიზმი წარმოადგენს „ყოვლად უმნიშვნელო ოდენობას“, რომელსაც შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. სრულებითაც არა. იმპერიალიზმს ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვს. მის ხელშია ძლიერი მილიტარისტული მანქანა.

ამჟამად იმპერიალიზმმა მშვიდობიანი დროის პირობებში შექმნა ომის გიგანტური აპარატი, ბლოკების განშტოებული სისტემა, გამალებულ შეიარაღებას დაუმორჩილა ეკონომიკა. ამერიკელი იმპერიალისტები იმის პრეტენზიას აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიო თავიანთ ქუსლქვეშ ჰყავდეთ, და კაცობრიობას რაკეტულ-ატომური ომით ემუქრებიან. თანამედროვე იმპერიალიზმი სულ უფრო მეტად ხასიათდება ლპობითა და პარაზიტიზმით. საერთაშორისო განვითარების პერსპექტივების თავიანთ შეფასებაში მარქსისტი ლენინელები არ უშვებენ და არ შეუძლიათ დაუშვან რაიმე ილუზია იმპერიალიზმის მიმართ.

ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ იმპერიალისტები თავხედური პროვოკაციებისა და აგრესიების პოლიტიკას ახორციელებენ, პირდაპირ აურაცხელია. ეს ახალი როდია. ახალია ის, რომ იმპერიალისტთა ყოველი ხრიკი არა მარტო მთლიანად მჟღავნდება, არამედ გადამჭრელ წინააღმდეგობასაც აწყდება. ხოლო ლოკალური ომების გაჩაღების მათი ცდები ალიკვეთება ხოლმე.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახლანდელი თანაფარდობა შესაძლებლობას აძლევს სოციალისტურ ბანაკს და სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებს ისტორიაში პირველად დააყენონ სავსებით რეალური ამოცანა: აიძულონ იმპერიალისტები არ გააჩაღონ მსოფლიო ომი, თუ თავიანთი წყობილების დაღუპვა არ უნდათ.

მსოფლიო ომის თავიდან აცილების შესაძლებლობასთან დაკავშირებით მინდა შევეხო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი განვითარების პერსპექტივების საკითხს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ როგორც პირველმა, ისე მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის წარმოშობასა და გაღრმავებაზე. ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაძლიერების აუცილებელი პირობაა მსოფლიო ომი? ასეთი დასკვნა უაღრესად მცდარი იქნებოდა, ვინაიდან იგი ამახინჯებს სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, თავდაყირა აყენებს რევოლუციის წარმომშობ ნამდვილ მიზეზებს. პროლეტარული რევოლუცია მხოლოდ სამხედრო კატაკლიზმების შედეგი როდია; იგი უწინარეს ყოვლისა კლასობრივი ბრძოლისა და კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა განვითარების შედეგია.

სავსებით ცხადია, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, კოლონიური სისტემის დაშლის სწრაფი პროცესი, თავისი სასიცოცხლო უფლებებისა და ინტერესებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის უმაგალითო აღმავლობა — ყოველივე ეს ძირს უთხრის კაპიტალიზმს, აძლიერებს მის საერთო კრიზისს. კაპიტალიზმის დანაკარგები ამ დარტყმების შედეგად საბოლოო ხასიათს ატარებს. ეს ეხება როგორც საერთოდ კაპიტალიზმის მთელ სისტემას, ისე მის მთავარ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

კაპიტალიზმის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს ყველაზე მეტად შეეხო საერთო კრიზისი. სწორედ მას ომისშემდგომ წლებში განსაკუთრებით ხშირად ატყდებოდა თავს ეკონომიურ შერყევათა დარტყმები. ომისშემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარმოების სამი კრიზისული დაცემა განიცადეს — 1948—1949 წწ., 1953—1954 წწ. და განსაკუთრებით 1957—1958 წლებში.

განვლილ წელს, ამერიკული პრესის შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქცია სულ ორი პროცენტით გადიდდა, 1961 წლისათვის კი ამერიკელი ეკონომისტები წინასწარმეტყველებენ წარმოების არა გადიდებას, არამედ შემცირებას დაახლოებით 3,7 პროცენტით, ხოლო შესაძლოა უფრო მეტადაც. სსრ კავშირში 1960 წელს წარმოება დაახლოებით 10 პროცენტით გაიზარდა.

სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური კაპიტალი იჩენს არსებული საწარმოო ძალების გამოყენების უნარის უქონლობას. კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე მდიდარი ქვეყანა ყველაზე დიდი ქრონიკული უმუშევრობის ქვეყანაა. ოფიციალური სტატისტიკის აშკარად შემცირებული მონაცემებით, სავსებით უმუშევართა რიცხვი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1956 წლის 2,6 მილიონი კაციდან 1959 წელს 3,8 მილიონამდე გაიზარდა და 1960 წლის დამლევისათვის ოთხ მილიონზე მეტ კაცს მიაღწია. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნახევრადუმუშევართა მრავალმილიონიანი არმიაა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივი მოვლენაა მრეწველობის მზარდი დაუტვირთაობა. 1959 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში უმოქმედოდ იდგა ფოლადსამსხმელო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა 37 პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ ფოლადის გამოდნობა კრიზისულ 1958 წელს მკვეთრად შემცირების შემდეგ რამდენადმე გაიზარდა. 1960 წლის დამლევისათვის ფოლადსამსხმელო მრეწველობის საწარმოო აპარატი გამოყენებული იყო ნახევარზე ნაკლებად. მიუხედავად სამხედრო ასიგნობათა უაღრესი გადიდებისა, წარმოების ზრდის ტემპები ამ ქვეყანაში ომისშემდგომ წლებში ნელდება და ძლივს უსწრებს წინ მოსახლეობის ზრდას. 1956-1959 წლებში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთსა და იმავე დონეზე რჩებოდა.

თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვე იმპერიალიზმის კვლავ მთავარ ეკონომიურ, ფინანსურ და სამხედრო ძალას წარმოადგენენ, მათი ხვედრითი წონა კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკასა და პოლიტიკაში მცირდება. ამერიკის შეერთებული შტატების წილი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის პროდუქციაში 1950 წლის 54 პროცენტიდან 1959 წელს 47-48 პროცენტამდე დაეცა. 1950 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხვედრითი წონა კაპიტალისტური ქვეყნების ფოლადის გამოდნობაში 57,4 პროცენტს შეადგენდა, 1959 წელს კი 40,4 პროცენტამდე შემცირდა. ამერიკის შეერთებული შტატების წილი კაპიტალისტური ქვეყნების ექსპორტში 1946 წლის 30 პროცენტზე მეტიდან შემცირდა 1953 წელს 21 პროცენტამდე და 1959 წელს 17,4 პროცენტამდე. მიუხედავად ამისა, ამერიკელი მონოპოლისტები მთავარი მევახშეები და ხალხთა ექსპლოატატორები იყვნენ და კვლავ არიან.

სრული საფუძველი გვაქვს გავაკეთოთ დასკვნა, რომ როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე საერთაშორისო პოლიტიკის სფეროშიც კაპიტალიზმის მთავარი სახელმწიფო მზარდი სიძნელეების, კრიზისების ხანაში, თავისი მზის ჩასვენების ხანაში შევიდა.

რაც შეეხება კაპიტალიზმის სხვა ქვეყნების ეკონომიკას, ისიც სულ უფრო მეტი მერყეობით ხასიათდება.

კაპიტალისტური სამყარო ამჟამად გათიშული არ არის ორ იმპერიალისტურ ბანაკად, როგორც ეს ორივე მსოფლიო ომის წინ იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სრულებითაც არ არის ერთიანი, არამედ მას სასტიკი შინაგანი ბრძოლა ღრღნის, ეგრეთწოდებული „ატლანტიკური სოლიდარობის“ ვიტრინის უკანაც კი იმალება შინაგანი უთანხმოებისა და კონფლიქტების არასახარბიელო სურათი, ძლიერდება ამერიკის ლიდერობისა და დიქტატისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ევროპის ცენტრში გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინება აღადგენს ინგლის-გერმანიის, საფრანგეთ-გერმანიის და სხვა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ურთულეს კომპლექსს. საკმარისია შევადაროთ კაპიტალიზმის ახლანდელი მდგომარეობა იმას, რომელშიც იგი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იმყოფებოდა, და ცხადი გახდება, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისი უაღრესად გაღრმავდა.

ღრმა ანალიზი გაუკეთა რა მთელ მსოფლიო ვითარებას, თათბირი მივიდა დიდი თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის დასკვნამდე. ეს დასკვნა ასეთია: **„კაპიტალიზმის საერთო კრიზისის განვითარებაში დაიწყო ახალი ეტაპი“**. ამ ეტაპის თავისებურება ის არის, რომ იგი წარმოიშვა არა მსოფლიო ომთან დაკავშირებით, არამედ ორი სისტემის შეჯიბრებისა და ბრძოლის ვითარებაში, სოციალიზმის სასარგებლოდ ძალთა თანაფარდობის სულ უფრო მეტად შეცვლის, იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის მკვეთრი გამწვავების ვითარებაში, იმ პირობებში, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის განხორციელებისა და განმტკიცებისათვის მშვიდობისმოყვარე ძალების წარმატებითმა ბრძოლამ საშუალება არ მისცა იმპერიალისტებს თავიანთი აგრესიული მოქმედებით ჩაეშალათ საყოველთაო მშვიდობა, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ფართო მასების ბრძოლის აღმავლობის ვითარებაში. ეს მოწმობს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას.

ჩვენი მებრძოლი ამხანაგები კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიებიდან ითვალისწინებენ ამ გარემოებას მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის თავიანთი შემდგომი ტაქტიკური ხაზის განსაზღვრისას. და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უახლოესი მომავალი აღინიშნება მსოფლიო სოციალიზმის, მუშათა კლასისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაერთიანებული ძალების ახალი წარმატებებით.

2. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა სსრ კავშირში და მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების პერსპექტივები

ამხანაგებო! თანამედროვეობის უდიდესი მამოძრავებელი ძალა მსოფლიო სოციალისტური სისტემაა. საერთაშორისო მუშათა კლასს, მის კომუნისტურ ავანგარდს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ის, რომ ყველა ღონისძიებით განამტკიცონ ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბურჯის — სოციალისტური ბანაკის ძლიერება და შეკავშირება.

ცნობილია, რომ თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განვითარების პრობლემებს. თათბირის განცხადებაში ჩამოყალიბებულია დიდმნიშვნელოვანი თეორიული და პოლიტიკური დებულებანი ამ პრობლემების შესახებ. მინდა შევჩერდე ზოგიერთ მათგანზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

სსრ კავშირის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის აზრთა გაზიარების შედეგად, საბჭოთა მთავრობამ, ხელმძღვანელობს რა გულწრფელი მისწრაფებით დასაბამი მისცეს ახალ ეტაპს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში, გადაწყვიტა დააკმაყოფილოს ამერიკის მხარის სურვილი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების რბ-47 თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრების — ორი ამერიკელი მფრინავის ფ. ოლმსტედისა და დ. მაკოუნის განთავისუფლების შესახებ და შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რომ ეს მფრინავები გაათავისუფლოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ფ. ოლმსტედისა და დ. მაკოუნის განთავისუფლებისა და ამერიკის ხელისუფლებისათვის გადაცემის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა ინფორმირებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გასცა ბრძანება, რომელიც ამერიკის თვითმფრინავებს უკრძალავს დაარღვიონ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ფ. ოლმსტედისა და დ. მაკოუნის განთავისუფლების შესახებ აღკვეთს სერიოზულ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე.

როგორც აღნიშნულია განცხადებაში, სოციალისტური ქვეყნების პირველხარისხოვანი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყენონ შესაძლებლობანი, რომლებსაც სოციალიზმი შეიცავს, და უმოკლეს ვადაში გაუსწრონ მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ხოლო შემდეგ — ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებისა და ცხოვრების დონის მხრივ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა წინა თათბირის — 1957 წლის თათბირის შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიური ძლიერებისა და საერთაშორისო გავლენის სწრაფი ზრდა. 1957 წლიდან 1959 წლამდე განვლილ პერიოდში სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 37,1 პროცენტით, ხოლო კაპიტალიზმის ქვეყნების სამრეწველო წარმოება — 7,4 პროცენტით. ამ ხნის განმავლობაში სსრ კავშირის სამრეწველო წარმოება გადიდდა 23 პროცენტით, ამერიკის შეერთებული შტატებისა კი მხოლოდ 4,6 პროცენტით. საშუალო წლიურმა ტემპმა ყველა სოციალისტურ ქვეყანაში შეადგინა 17 პროცენტი, ხოლო კაპიტალიზმის ქვეყნებში — 3,6 პროცენტი. სსრ კავშირის საშუალო წლიურმა ტემპმა ამ წლებში შეადგინა 10,9 პროცენტი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისამ — 2,3 პროცენტი.

სოციალიზმმა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების ცხოვრების ყველა დარგში განახორციელა იმდენად ღრმა გარდაქმნები, რომ ჩვენ დღეს კანონიერი სიამაყის გრძნობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ახლა უკვე არა მარტო სსრ კავშირში, არამედ სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაშიც ლიკვიდირებულია კაპიტალიზმის რესტავრაციის სოციალურ-ეკონომიური შესაძლებლობანი. მსოფლიო სოციალისტური სისტემა თავისი განვითარების ახალ ეტაპში შევიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მსოფლიო კომუნისტური ფორუმისათვის ჩვენი პარტიის მოღვაწეობის შესახებ და გაეცნო მისთვის ჩვენი უახლოესი პერსპექტივები.

ჩვენი პარტია მთელ თავის ღონისძიებებს წარმართავს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად. ამ ამოცანებიდან მთავარია: ჯერ-ერთი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მეორე, ამ საფუძველზე კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება და, მესამე, მომავალი, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბება.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი ეტაპია შვიდწლიანი გეგმა. შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში სამრეწველო პროდუქცია საკონტროლო ციფრების გაანგარიშებით 17 პროცენტით უნდა გაზრდილიყო. ფაქტიურად იგი 22,1 პროცენტით გაიზარდა. ახლანდელი ტემპები რომ დარჩეს, სამრეწველო პროდუქცია შვიდი წლის მანძილზე გადიდდება არა 80 პროცენტით, როგორც გეგმით იყო დასახული, არამედ დაახლოებით ერთიორად. ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ გეგმის გადამეტებით წარმოებულ იქნება დაახლოებით 90 მილიარდი მანეთის (ფასების ახალი მასშტაბით) სამრეწველო პროდუქცია. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, რას ნიშნავს ეს ციფრი, ნება მიბოძეთ გაგახსენოთ, რომ ვ. ი. ლენინი სიამაყით მოახსენებდა კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესს, რომ ჩვენს ქვეყანას 1922 წელს პირველად მიეცა შესაძლებლობა მძიმე ინდუსტრიაში დაებანდებინა 20 მილიონი მანეთი!

აი რა მცირე ციფრები იყო 1922 წელს. და რა შესაძლებლობანი მოგვეცა ამჟამად!

ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენი მეტალურგიის შესახებ. შვიდწლიანი გეგმა ისეა შედგენილი, რომ ჩვენ 1965 წელს უნდა გამოვადნოთ 86-91 მილიონი ტონა ფოლადი. გასულ წელს ჩვენ უკვე გვქონდა 65 მილიონი ტონა. 1961 წლისათვის დაგეგმილია ფოლადის გამოდნობის მატება 6 მილიონი ტონით. მაშასადამე. ჩვენ გვექნება 71 მილიონი ტონა. თუ შვიდწლედის შემდგომი წლებისათვის უზრუნველვყოფთ მხოლოდ ისეთსავე მატებას, როგორიც 1961 წელს იქნება, 1965 წლის დამლევისათვის შეიძლება გამოდნობილ იქნას 95 მილიონი ტონა ფოლადი. ხოლო თუ შემდეგში ფოლადის წარმოება გაიზრდებოდა ისეთივე ტემპებით, როგორც შვიდწლედის პირველ სამ წელიწადში, 1965 წელს ფოლადის გამოდნობას შეიძლება მიეღწია 100-102 მილიონი ტონისათვის.

მაგრამ ჩვენ, ჩანს, არ განვახორციელებთ ახლა შავი მეტალურგიის განვითარების ისეთ პოლიტიკას, რომ შესაძლებლობათა ზღვარს მივაღწიოთ. კაპიტალდაბანდებათა ნაწილს ალბათ გადავიტანთ სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობაში. კომუნიზმის შენება არ შეიძლება მხოლოდ მანქანების, შავი და ფერადი ლითონების მიწოდებით. საჭიროა, რომ ამ ადამიანებს შეეძლოთ კარგად ჭამონ, ჩაიცვან, ჰქონდეთ ბინა და სხვა მატერიალური და კულტურული პირობები.

ეს ჩვენი გენერალური ხაზის გადასინჯვა კი არა, ჩვენი მატერიალური შესაძლებლობების გონივრული გამოყენებაა. როცა ჩვენ მტრების გარემოცვაში ვიყავით და ჩვენი მრეწველობა უფრო სუსტი იყო, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მომჭირნეობას ვეწეოდით ყველაფერზე, და, როგორც ლენინი ამბობდა, სკოლებზეც კი. ახლა სხვა მდგომარეობაა: ჩვენ მძლავრი მრეწველობა გვაქვს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ყველაზე თანამედროვე იარაღი აქვთ. რატომ უნდა მოვიკლოთ ის, რის მიღებაც ადამიანს შეუძლია ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის ზიანის მიუყენებლად?

ამჟამად სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ამუშავებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960-1980 წლების გენერალურ გეგმას. ჭეშმარიტად წარმტაცი პერსპექტივები ისახება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში ჩვენი უკვდავი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელების საფუძველზე.

სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიადი მიღწევაა ხალხის მასების კულტურის აღმავლობა. 1959 წელს სსრ კავშირში იყო 2.200 ათასი სტუდენტი, გონებრივი შრომის მუშაკთა რიცხვი ახლა 20 მილიონ კაცს აღემატება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან. რევოლუციამდე მუშებსა და გლეხებს შორის არ იყვნენ საშუალო და მით უმეტეს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, ახლა კი, უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, საბჭოთა ქვეყნის იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან; 32 პროცენტია საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, მათ შორის 39 პროცენტი მუშებს შორის და 21 პროცენტი კოლმეურნეებს შორის. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ ჩვენში უკვე არის ფრიად საგრძნობი მიღწევები ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების თანდათანობითი მოსპობის საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში მომხდარი უდიდესი კულტურული რევოლუციის შედეგებმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა მეცნიერების მიღწევებში. მთელი მსოფლიო აღტაცებულია ამ მიღწევებით. დედამიწის სამი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, მზის ხელოვნური თანამგზავრი, მთვარის რაკეტები და კოსმოსური ხომალდები — ყოველივე ამაში მკაფიოდ ჩანს სოციალისტური წყობილების წარმატებანი და უპირატესობანი, კომუნიზმის მშენებელი ხალხის სოციალისტური გენია.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პირველი ეტაპი, რომელსაც შვიდწლიანი გეგმა მოიცავს, ამასთან ერთად გადამწყვეტი ეტაპია სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებაში. თუ 1950 წელს საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო პროდუქციის 30 პროცენტზე ნაკლებს იძლეოდა, ახლა დაახლოებით 60 პროცენტს იძლევა. როგორც ეკონომისტების გაანგარიშება გვიჩვენებს, სსრ კავშირი 1965 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრებს წარმოების მოცულობის მხრივ, ხოლო დაახლოებით 1970 წლისათვის — ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვების მხრივ.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტაზე საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები. ახლოვდება დრო, როცა მსოფლიო წარმოებაში ხვედრითი წონის მხრივ სოციალიზმი პირველ ადგილზე გამოვა, კაპიტალიზმი დამარცხდება ადამიანის მოღვაწეობის გადამწყვეტ სფეროში — მატერიალური წარმოების სფეროში. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების უკვე შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების შედეგად მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნები მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს გამოუშვებენ.

სსრ კავშირის გამარჯვება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ეკონომიურ შეჯიბრებაში, მთელი სოციალისტური სისტემის გამარჯვება კაპიტალისტურ სისტემაზე უდიდესი მობრუნება იქნება ისტორიაში, კიდევ უფრო მძლავრ გამარევოლუციურებელ ზეგავლენას მოახდენს მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობაზე. მაშინ ყველაზე დაეჭვებული ადამიანებისთვისაც კი ნათელი გახდება, რომ მხოლოდ სოციალიზმი იძლევა ყველაფერს, რაც საჭიროა ადამიანის ბედნიერი ცხოვრებისათვის, და ისინი თავიანთ არჩევანს გააკეთებენ სოციალიზმის სასარგებლოდ.

ახლა მთავარია დროის მოგება კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. რაც უფრო სწრაფად წავწევთ წინ სამეურნეო მშენებლობას, მით უფრო ძლიერნი ვიქნებით ეკონომიურად და პოლიტიკურად, მით უფრო დიდი იქნება სოციალისტური ბანაკის გავლენა ისტორიულ განვითარების მიმართულებასა და ტემპებზე, მსოფლიოს ბედზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საჭიროა პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის განუხრელი გაუმჯობესება, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეთოდების მუდმივი სრულყოფა, მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული სოციალისტური გაძღოლა. ჩვენი პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ამ საკითხების სწორად გადაწყვეტას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ იმას, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხები წყდებოდეს ობიექტური პირობების გათვალისწინებით, რომ დაშვებულ არ იქნას როგორც წინგარბენა, ისე განვითარების ტემპების შენელება.

ჩვენს ქვეყანაში გიგანტური მასშტაბებით ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ჩაყენება კომუნიზმის მშენებლობის სამსახურში. ათვისებულია 41 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები — ფართობი, რომელზეც დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფო დაეტეოდა. გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების კასკადმა შექმნა რუსეთის დიდი მდინარის ვოლგის წყლების თითქმის მთლიანად რეგულირებული დინება. უფრო დიდი ჰიდროსადგურების წყება, მათ შორის ოთხ მილიონ კილოვატზე მეტი სიმძლავრის ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური, ქმნის ანგარის კასკადს. ხუთ მილიონამდე კილოვატი სიმძლავრის კიდევ უფრო გრანდიოზული სადგურები კომუნისტური მშენებლობის სამსახურში ჩააყენებენ ციმბირის უზარმაზარ მდინარეს ენისეის. ჩვენი ქვეყნის ევროპული ნაწილის ცენტრში დაწყებულია დამუშავება რკინის მადნის ერთ-ერთი უმდიდრესი აუზისა მსოფლიოში — კურსკის მაგნიტური ანომალიისა.

სულ უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ მიაბიჯებენ ნავთობის ჭაბურღილები. რევოლუციამდელ რუსეთში ნავთობის სამი მეოთხედის მოპოვება ბაქოს რაიონში წარმოებდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნავთობის მოპოვება ბაქოში ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა, და მაინც 1959 წელს ბაქოს ნავთობის წილი სსრ კავშირის ნავთობის მთელ მოპოვებაში უკვე 15 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა. იწყება დამუშავება დაუშრეტელი წიაღისა ციმბირში, რომელიც ჩვენს ქვეყანას მილიონობით ტონა შავ, ფერად და იშვიათ ლითონებს, სულ სხვადასხვა მინერალურ ნედლეულს, სამრეწველო ალმასს აძლევს. ირწყვება მილიონობით ჰექტარი მიწები, რომლებიც წინათ გვალვიანი იყო. მიმდინარეობს იმ საკითხის შესწავლა, რომ შეიცვალოს ჩრდილოეთის ზოგიერთი უდიდესი მდინარის მიმართულება. ასეთია მხოლოდ ცალკეული მაგალითები, რომლებიც გვიჩვენებენ, რა ნაყოფიერ შედეგებს იძლევა მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მთლიანად გამოვიყენოთ სოციალიზმის შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

კომუნისტური მშენებლობის ხელმძღვანელობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს განუყოფელ ნაწილს შეადგენს იმ თეორიული საკითხების დამუშავება, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკა ჩვენს წინაშე სახავს მრავალ ისეთ საკითხს, რომლებზეც მზა პასუხი არ არის. კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენ ჯერ კიდევ გაუკვალავი გზებით მივდივართ. კაცობრიობას ჯერჯერობით არა აქვს კომუნიზმის პირობებში საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის სრული თეორიული დასაბუთება და ორგანიზაციის გამოცდილება. რა თქმა უნდა, მარქსისტებმა კარგად იციან ზოგადი კანონზომიერებანი და პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ცხოვრების წყობას კომუნიზმის დროს. მაგრამ ახლა ზოგად კანონზომიერებათა მარტო ცოდნა აღარ კმარა. კომუნიზმი თეორიის სფეროდან უშუალო პრაქტიკის სფეროში გადავიდა. პარტია კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს სწორად წყვეტს იმის მეოხებით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი მიაჩნია არა გაყინულ დოგმად, არამედ შემოქმედებით მოძღვრებად, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს რომ წყვეტს, ჩვენი პარტია დაუცხრომლად მუშაობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ განვითარებაზე. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ რევოლუციური მარქსისტული თეორია განუყოფელია რევოლუციური პრაქტიკისაგან, რომ თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთმოქმედება ხდება და ისინი ერთმანეთს ავსებენ, თეორია გზას უშუქებს პრაქტიკას.

ნება მიბოძეთ დავასახელო თეორიის მთელი რიგი საკითხები, რომლებზე მუშაობაც ჩვენს პარტიას უკანასკნელ წლებში მოუხდა. ეს არის კომუნიზმის ორი ფაზის, მისი პირველი ფაზიდან მეორე, უმაღლეს ფაზაში გადასვლის საკითხები. ეს არის აგრეთვე საკითხები საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის გადაზრდისა კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ა. შ.

მინდა შევჩერდე ზოგიერთ ამ საკითხზე.

კომუნიზმისაკენ წინსვლისას სოციალისტური მეურნეობის ხელმძღვანელობა რთულდება, კავშირს მის დარგებსა და ქვეყნის ეკონომიურ რაიონებს შორის სულ უფრო მჭიდრო ხასიათი ეძლევა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო მეურნეობის მართვის საკითხების დამუშავებას, დაგეგმვის სრულყოფას. 1957 წელს განხორციელდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, ლიკვიდირებულ იქნა დარგობრივი სამინისტროები და შეიქმნა სახალხო მეურნეობის საბჭოები ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში. ამ ღონისძიების არსს შეადგენს სამეურნეო მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრის გადატანა ადგილებზე და ამასთან ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისის შენარჩუნება. ამის შედეგად დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპმა შემდგომი განვითარება მიიღო. ეს შეესაბამება ლენინის დებულებას იმის შესახებ, რომ კომუნიზმისაკენ წინსვლისა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების კვალობაზე წარმოების მართვა სულ უფრო მეტად იქნება აგებული დემოკრატიულ საწყისებზე.

შემდეგ. ჩვენმა პარტიამ გამონახა სამეურნეო-კოოპერაციული საკუთრების საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე ამაღლების გზები, განსაზღვრა მათი ერთიან კომუნისტურ საკუთრებად შეერთების პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა მთელი სისტემა ეკონომიური, პოლიტიკური, ორგანიზაციული ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია საკოლმეურნეო წყობილების, საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განმტკიცება და ყოველმხრივ განვითარება (მაგალითად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, ტექნიკის მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის, დამზადებათა სისტემისა და ფასების პოლიტიკის შეცვლა, სოფლისათვის დახმარება კადრებით და სხვ.).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახორციელებენ რა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დიდებულ ამოცანებს აგრეთვე სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1960 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სსრ მშრომელებმა მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მისი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებას.

I.

მრეწველობა და ტრანსპორტი

გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა გადაჭარბებით შეასრულეს 1960 წლის გეგმა როგორც წარმოების საერთო მოცულობის მიხედვით, ისე მეტად უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის მიხედვით.

რესპუბლიკის მთელი მრეწველობის მიერ მთლიანი პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, აქედან მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის მიერ — 102 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მიერ — 101 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა მიერ — 105 პროცენტით.

მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა იმ სამრეწველო საწარმოების მიერ რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, შესრულებულია 105 პროცენტით, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე — 105 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 115 პროცენტით და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე — 103, პროცენტით.

საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1959 წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით, მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 7 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 16 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში — 12 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ მრეწველობაში — 8 პროცენტით, აჭარის ასსრ მრეწველობაში — 7 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობაში — 39 პროცენტით, ქალაქ თბილისის მრეწველობაში — 10 პროცენტით.

1960 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოუშვეს: თუჯი, — 23,9 ათასი ტონა, ფოლადი — 20,3 ათასი ტონა, ნაგლინი — 25,7 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 12,3 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილი — 60 ცალი, ელექტროენერგია — 77 მილიონი კილოვატსაათი, ცემენტი—41 ათასი ტონა, ტყავის ფეხსაცმელი — 87 ათასი წყვილი, ხორცი, მათ შორის პირველი კატეგორიის სუბპროდუქტები — 7,7 ათასი ტონა, ერბო-კარაქი — 55 ტონა, მარგარინის ნაწარმი — 1,3 ათასი ტონა, კონსერვი — 2,6 მილიონი პირობითი ქილა, საკონდიტრო ნაწარმი — 176 ტონა, მაკარონის ნაწარმი — 1,2 ათასი ტონა, პაპიროსი და სიგარეტი — 403 მილიონი ცალი, ყურძნის ღვინო — 344 ათასი დეკალიტრი, შამპანური — 350 ათასი ბოთლი და მრეწველობის სხვა სახეობათა ძირითადი პროდუქცია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების მიერ მთლიანი პროდუქციის წარმოების წლიური გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1960 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1960 წელი პროცენტობით 1959 წელთან შედარებით
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	105	108
მანქანათსაშენებელი მრეწველობის სამმართველო	103	120
ელექტროტექნიკური ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის სამმართველო	97	161
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	103	120
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	100,9	113
ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	100,8	118
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	103	94
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	103	108
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	104	100,7
სამთამადნო მრეწველობის სამმართველო	108	111
საქართველოს ნავთობის ტრესტი	108	98
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი	111	123
ჭიათურის მარგანმშენის ტრესტი	107	134
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	98	97
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	102	106
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	89	117
საქართველოს ჩაის ტრესტი	107	109
სამტრესტი	89	95
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	104	102
საქართველოს კონსერვტრესტი	106	131
საქართველოს ცხიმეულ-ეთერზეთის ტრესტი	101	90
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	102	102
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	108	112
საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი	103	116
საქართველოს ყველისა და კარაქის მრეწველობის ტრესტი	113	117
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	100,2	106

მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა საერთო რიცხვიდან წლიური გეგმა ვერ შეასრულა 103 საწარმომ, ანუ 18 პროცენტმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 43 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საკავშირო-რესპუბლიკურმა და რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შეასრულეს 107 პროცენტით, აქედან მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა — 111 პროცენტი, პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა — 105 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა — 97 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებმა — 120 პროცენტით, განათლების სამინისტროს საწარმოებმა — 111 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოებმა — 100,8 პროცენტით, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 103 პროცენტით.

თუმცა ადგილობრივი საბჭოების მრეწველობის ხაზით მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ 1960 წლის გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს თბილისის ხე-ტყის დამზადების საქალაქო ტრესტმა და ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, ვანის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, მცხეთის, საგარეჯოს, თელავის, თერჯოლის, ხობის, წულუკიძისა და წალკის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებმა.

ადგილობრივი საბჭოების ჩამოთვლილმა საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 2,6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მიერ როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე სხვა ეკონომიურ რაიონებში თუჯის სხმულისა და ნატვიფრის კოოპერირებული მიწოდების გეგმა შესრულდა.

ვერ შეასრულეს ფოლადის სხმულის შიდარესპუბლიკური მიწოდების გეგმა ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა და ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ, ნაჭედისა — თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ, თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელმა ქარხანამ და ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ.

მრეწველობის ცალკეული დარგების მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდამ შეადგინა:

	1960 წელი პროცენტობით 1959 წელთან შედარებით
შავი მეტალურგია	107
სათბობის მრეწველობა	103
ელექტროენერგიის წარმოება	120
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	128
ქიმიური მრეწველობა	119
საშენ მასალათა წარმოება	120
მსუბუქი მრეწველობა	99,1
აქედან საფეიქრო მრეწველობა	94
კვების მრეწველობა	103
აქედან:	
ხორცის მრეწველობა	116
კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	116
ღვინის მრეწველობა	95
ჩაის მრეწველობა	109
თამბაქოს მრეწველობა	102

მთლიანად რესპუბლიკაში მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1960 წელს	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1960 წელი პროცენტობით 1959 წელთან შედარებით
მანგანუმის მადანი		103	100,2
ქვანახშირი — ათასი ტონა	2.849	99,0	97
მთლიანი კოქსი — ათასი ტონა	702	96	94
თუჯი — ათასი ტონა	714	103	103
ფოლადი — ათასი ტონა	1.130	102	106
ნაგლინი — ათასი ტონა	821	103	106
ფოლადის მილები — ათასი ტონა	334	104	111
ელექტროენერგიის წარმოება რაიონული ელექტროსადგურების და ბლოკსადგურების მიერ — მილიონი კილოვატსაათი	3577	102	119
მაგისტრალური ელმავალი — ცალი	87	97	171
სატვირთო ავტომობილი — ცალი	6.060	101	99,7
ლითონსაჭრელი ჩარხი — ცალი	3.830	105	117
ცემენტი — ათასი ტონა	1256,1	103	110
შიფერი—მილიონი პირობითი ფილა	45,0	90	115
აგური (გარდა დამხმარე საწარმოთა და კოლმეურნეთა წარმოებისა) — მილიონი ცალი	332,5	83	99,8
ქაღალდი — ათასი ტონა	32,5	100,7	104
ავეჯი — მილიონი მანეთი	17,3	97	113
ბამბის ქსოვილი — მილიონი მეტრი	49,5	97	96
აბრეშუმის ქსოვილი — მილიონი მეტრი	19,3	98	97
შალის ქსოვილი — მილიონი მეტრი	4,9	99	102
წინდა — მილიონი წყვილი	8,2	90	93
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	8,5	92	99,4
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	2,6	95	94
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	10,7	100,8	104
პიანინო და როიალი — ცალი	3.036	101	137
თევზჭერა — ათასი ტონა	6,8	106	101
ხორცი 1 კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (სამრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა გარდა) — ათასი ტონა	29,4	136	115
კარაქი (კოლმეურნეობათა და მოსახლეობის შინაწარმოების გარდა) — ათასი ტონა	1,1	106	92
ყველი — ათასი ტონა	8,4	108	119
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	11,3	113	83
კონსერვი — მილიონი პირობითი ქილა	116,0	99,3	127
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	17,8	101	103
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	12,2	111	98
პირველადი დამუშავების ბაიხაო ჩაი — ათასი ტონა	38,0	112	112
შაქრის ფხვნილი — ათასი ტონა	62,1	97	227
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	14,2	103	103
ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი	7,2	105	113
შამპანური — მილიონი ბოთლი	6,7	106	106
საპონი — ათასი ტონა	13,7	100,5	101

აბრეშუმის ქსოვილების წარმოების წლიური გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საექსპლოატაციოდ არ იყო გადაცემული ახალი აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ქალაქ თბილისში სათანადო მოწყობილობის მიუღებლობის გამო; ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის და წინდის წარმოების შეუსრულებლობისა — იმ საწარმოთა სპეციალიზაციის განხორციელება, რომლებიც ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროდან და ყოფილი სარეწაო კოოპერაციიდან გადაეცა სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემას.

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი, რომელმაც 1960 წელს შეადგინა 0,705 ნაცვლად 0,728-ისა 1959 წელს. გადიდდა აგრეთვე ფოლადის აღება მარტენის ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე, მაგალითად, 1960 წელს ფოლადის აღება მარტენის ღუმელის ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე შეადგენდა 7,21 ტონას, ნაცვლად 6,89 ტონისა 1959 წელს.

გასულ წელს მიღწეულია წარმატებანი სახალხო მეურნეობის დარგების ტექნიკურ გაუმჯობესებაში კომპლექსური მექანიზაციის, წარმოების ავტომატიზაციის შემდგომი დანერგვისა და მოწყობილობის მოდერნიზაციის საფუძველზე. მაგალითად, თბილისში ბუნებრივ გაზზე სამუშაოდ გადაყვანილია 37 ყველაზე დიდი სამრეწველო საწარმო, რუსთავში — აზოტოვანი სასუქისა და ცემენტის ქარხნები, აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელები, ბრძმედები და კირ-დოლომიტის საამქრო. ავტომატიზებულია 2.500 კვა ღუმელის სიმძლავრეთა რეგულირება გამოსათვლელი მანქანის დახმარებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 საამქროში, განხორციელებულია ჭიათურა-პერევისის სამგზავრო-საბაგირო გზების სრული ავტომატიზაცია, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა მარგანეცის მრეწველობის საწარმოებში სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს მთის მასის აღების მექანიზაციის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებში მოწყობილობის მოდერნიზაციის დავალებები. შესრულებულია აგრეთვე ცხელი ტვიფრვის დანერგვის ღონისძიებანი. განხორციელდა საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ნაწილობრივი ავტომატიზაცია 27 ჩაის ფაბრიკის საროლერო საამქროებში, რამაც ფაბრიკების მწარმოებლურობა გაადიდა 20-25 პროცენტით.

1960 წელს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში წარმოებდა ახალსახეობათა მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვების ათვისება: კოშკურა ამწე ბკმ 5-50, უწყვეტი მოქმედების წნეხი „ანდ“, შალანდა ფხვიერი ტვირთის გადასაზიდავად, 2კ88, 2კ88ა მოდელის მილსაჭრელი დოლური ჩარხი, 2კ89, 2კ89ა მოდელის მილასის მოსაჭერი დოლური ჩარხი, 31108 მოდელის უნივერსალური მრგვალადსახეხი ჩარხი, კაზ-120 ძრავი, სასუქის მოსაფანტი. აპარატი კტა-0,4 ჩაის სასხლავი აპარატი ჩუგ-14, ჩუგ-15, ჩუგ-16, მცირეგაბარიტიანი სავალი ტრაქტორი საკიდი და მისაბმელი იარაღების კომპლექტით, ელექტროვენტილატორები და სხვ.

გასულ წელს, წინასწარი მონაცემებით, 11 ათასზე მეტმა რაციონალიზატორმა შეიტანა დაახლოებით 20 ათასი წინადადება, რომელთაგან სახალხო მეურნეობაში დანერგილია 11 ათასზე მეტი. წარმოებაში იმ წინადადებათა დანერგვით მიღებული ეკონომიის თანხა წელიწადზე გაანგარიშებით, რომელთა მიხედვით რესპუბლიკის საწარმოებში, მშენებლობებზე და ორგანიზაციებში გამონაგარიშებული ეკონომია. შეადგენს 11 მილიონ მანეთზე მეტს.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1960 წელს 1959 წელთან შედარებით გაიზარდა 3 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 2 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში — 10 პროცენტით, ამასთან შემოკლდა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა მრეწველობის ყველა დარგში.

სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის 1960 წელს დადგენილი გეგმა ხარჯების შემცირებისა ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე, წინასწარი მონაცემებით, გადაჭარბებით შესრულდა.

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა 100 პროცენტით, აქედან ქვანახშირისა — 100,5 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 100,7 პროცენტით, ნავთობისა — 106 პროცენტით, ხე-ტყისა — 110 პროცენტით. ვერ შესრულდა შავი ლითონების დატვირთვის წლიური გეგმა. 1959 წელთან შედარებით დატვირთვა შეადგენდა 99,8 პროცენტს. გადმოტვირთვა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 0,6 პროცენტით.

ვერ შესრულდა სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის, ერთ სატვირთო ოპერაციაში, აგრეთვე ტექნიკურ სადგურში ვაგონის მოცდენის საშუალო დროის საგეგმო დავალებები.

1960 წელს საელმავლო წევის ხვედრითი წონა რკინიგზის საერთო ტვირთბრუნვაში შეადგენდა 86 პროცენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 პროცენტისა. 1959 წელთან შედარებით საელმავლო წევის ხვედრითი წონა გაიზარდა 0,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1960 წელს გადაზიდა 47 მილიონი ტონით მეტი ტვირთი, ამასთან შესრულებულია 596 მილიონ ტონა-კილომეტრზე მეტი.

ტვირთზიდვის წლიური გეგმა შესრულდა 90 პროცენტით, ტვირთბრუნვის გეგმა — 100,4 პროცენტით.

1959 წელთან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა ტონობით — 3,3-ჯერ, ტონა-კილომეტრობით — 2,6-ჯერ. ზრდის ტემპის მკვეთრი გადიდება გამოწვეულია იმით, რომ საუწყებო სატვირთო ავტოტრანსპორტი გადაეცა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემას.

1960 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებმა გადაიყვანეს 206,4 მილიონი მგზავრი და შეასრულეს 1,3 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი. ავტობუსებით მგზავრების გადაყვანის გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით, მგზავრ-ბრუნვის გეგმა — 101 პროცენტით. 1959 წელთან შედარებით მგზავრების გადაყვანა გაიზარდა 8 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 14 პროცენტით.

სატვირთო ტაქსმოტორების ფასიანი გარბენის წლიური გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, მსუბუქი ტაქსმოტორებისა —102 პროცენტით.

1960 წელს აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 33 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რაც შეადგენს საავტომობილო გზების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმის 98 პროცენტს.

1960 წელს რესპუბლიკაში განხორციელდა 2,4 ათასი კილომეტრი საერთო სიგრძის საავტომობილო გზების კაპიტალური და საშუალო რემონტი, ანუ საგეგმო დავალების 104 პროცენტი, აქედან მაგარსაფარიანი გზებისა — 2,2 ათასი კილომეტრი, ანუ 105 პროცენტი.

II.

სოფლის მეურნეობა

1960 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესმა ფართობმა შეადგინა 829,4 ათასი ჰექტარი.

გადიდდა თამბაქოს ფართობი 2 პროცენტით, საკვები კულტურების ფართობი — 17 პროცენტით.

რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა გააშენეს 42 პროცენტით მეტი ხეხილის ბაღები, 30 პროცენტით მეტი ვენახები, 53 პროცენტით მეტი ჩაის პლანტაციები, ვიდრე 1959 წელს.

1960 წელს კოლმეურნეობებმა ხეხილის ბაღების გაშენების გეგმა შეასრულეს 121 პროცენტით, ჩაის პლანტაციებისა — 116 პროცენტით. არ არის შესრულებული ვენახების გაშენების გეგმა.

მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ გადააჭარბა უკანასკნელი ორი ხუთწლედის საშუალო წლიურ შესყიდვას და, კერძოდ, 1959 წლისას. შესაბამისი მონაცემები მოყვანილია ქვემოთ:

სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათასი ტონა)

	1949-1953 წლები (საშუალო წლიური)	1954-1958 წლები (საშუალო წლიური)	1959 წელი	1960 წელი
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	88	114	140	157
ყურძენი	65	117	133	93
ხილი (თესლოვანი და კურკოვანი)	23	53	77	81
ბოსტნეული	22	31	47	51

1960 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულებანი, რომლებიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს, შესრულებულია 11,8 ათასი ტონის გადაჭარბებით. ხილის, დაფნის ფოთლისა და კარტოფილის შესყიდვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. არ არის შესრულებული შაქრის ჭარხლის ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და ყურძნის დამზადების გეგმა.

პირუტყვის სულადობამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	წლის დამლევს; ათასი სული			1960 წელი პროცენტობით	
	1953 წელი	1959 წელი	1960 წელი (წინასწარი მონაცემებით)	1953 წელთან შედარებით	1959 წელთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1373	1503	1478	108	98
აქედან ძროხა	456	576	583	128	101
ღორი	520	582	577	111	99
ცხვარი და თხა	2503	2125	2082	83	98

თუმცა საერთოდ შემცირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა, მაგრამ საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1959 წელთან შედარებით გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 16,9 ათასი სულით, ანუ 2,6 პროცენტით, აქედან ძროხისა — 9,1 ათასი სულით, ანუ 5 პროცენტით, ღორის სულადობა — 9,5 ათასი სულით, ანუ 4 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობა — 3,9 ათასი სულით, ფრინველის სულადობა — 248 ათასი ფრთით, ანუ 17 პროცენტით. არ შესრულებულა ცხვრისა და თხის სულადობის გეგმა იმის შედეგად, რომ კოლმეურნეობებში მათი დიდი სიკვდილიანობა იყო. ცხვრისა და თხის დიდი სიკვდილიანობა იყო შემდეგ რაიონებში: ბოლნისის რაიონში — 19,5 პროცენტი, ახმეტის — 15,9 პროცენტი, ლენინგორის — 14,1 პროცენტი, ასპინძის — 13,3 პროცენტი, ახალქალაქის — 13,1 პროცენტი, დმანისის — 12,9 პროცენტი, კასპის — 11,6 პროცენტი, თიანეთის — 11,3 პროცენტი, მარნეულის —11,2 პროცენტი და სხვ.

მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა შემდეგი ოდენობით:

	წარმოება პროდუქტების			1960 წელი პროცენტობით	
	1953 წელი	1959 წელი	1960 წელი (წინასწარი მონაცემებით)	1953 წელთან შედარებით	1959 წელთან შედარებით
ხორცი და ქონი (ნაკლავის წონით) — ათასი ტონა	73	81	87	119	107
რძე — ათასი ტონა	334	478	503	150	105
კვერცხი — მილიონი ცალი	180	219	221	123	101

ხორცის წარმოება 1959 წელთან შედარებით გადიდდა 6 ათასი ტონით, რძისა — 25 ათასი ტონით, კვერცხისა — 2 მილიონი ცალით.

1960 წელს გრძელდებოდა თითო ძროხის საშუალო წველადობის ზრდა, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

	1953 წელი	1959 წელი	1960 წელი
ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — კილოგრამი	503	1264	1330
ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა მარტო კოლმეურნეობებში — კილოგრამი	486	1223	1286

უკანასკნელ 7 წელიწადში საშუალო წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 827 კილოგრამით, ანუ 2,6-ჯერ, ხოლო 1959 წელთან შედარებით — 5 პროცენტით.

სილოსის ჩადების გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 107 პროცენტით, გასულ წელს საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ჩადეს 1778 ათასი ტონა სილოსი, ანუ 24 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1959 წელს. ერთ ძროხაზე გაანგარიშებით ჩადებულია 10 ტონა სილოსი.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდასთან ერთად გადიდდა მათი მიყიდვა სახელმწიფოსათვის. ვადამდე შესრულდა პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხისა და მატყლის შესყიდვის გეგმა.

1960 წლისათვის დაწესებული პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 147 პროცენტით, რძისა — 107 პროცენტით, მატყლისა — 106 პროცენტით, კვერცხისა — 108 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა შემდეგი ოდენობით:

				1960 წელი პროცენტობით	
	1953 წელი	1959 წელი	1960 წელი	1953 წელთან შედარებით	1959 წელთან შედარებით
ყველა კატეგორიის მეურნეობები					
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი პირუტყვის წონით) — ათასი ტონა	32,9	45,0	65,8	200	146
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გაანგარიშებით) — ათასი ტონა	60,7	113,1	132,3	218	116
კვერცხი — მილიონი ცალი	15,0	53,2	64,7	4,3-ჯერ	122
კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები					
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი პირუტყვის წონით) — ათასი ტონა	25,2	31,5	43,2	195	156
რძე და რძის პროდუქტები (რძეზე გაანგარიშებით) — ათასი ტონა	42,6	106,1	126,4	297	119
კვერცხი — მილიონი ცალი	7,6	33,0	42,5	5,6-ჯერ	129

1953 წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა 2-ჯერ, რძისა — 2-ჯერ და მეტად, კვერცხისა — 4,3-ჯერ.

1959 წელთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა 20,8 ათასი ტონით, რძისა — 19,2 ათასი ტონით, კვერცხისა — 11,5 მილიონი ცალით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა

საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმი

მოსკოვი, 24 იანვარი. (საკდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. თავიანთ ფიქრებს, წინადადებებს, მომავლის გეგმებს ერთმანეთს უზიარებდნენ რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოთა სპეციალისტები, ნოვატორები.

ისინი ლაპარაკობდნენ იმ დიდ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია ჩვენს ხალხში პლენუმის მიერ დასახულმა ღონისძიებებმა სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის შესახებ. დღევანდელ სხდომაზე გამოსული ყოველი რესპუბლიკის, მხარის, ოლქის წარმომადგენელთა სიტყვებში გამოირჩეოდა ერთი აზრი — პროფკავშირებს შეუძლიათ კიდევ ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ გააკეთონ იმისათვის, რომ დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

სიამაყით ილაპარაკა გორკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სორმოვოს პროლეტარის“ მეწველავმა უ. ე. ივანოვამ იმის შესახებ, რომ ამ მეურნეობაში რძის წველადობა და ხორცის წარმოება ყოველ წელს იზრდება, გადაჭარბებით სრულდება დავალებანი. ამაში მათი შრომის დიდი წვლილიც არის. მაგრამ რეზერვები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ყოველ კეთილსინდისიერ მუშაკს შეუძლია გამონახოს პროდუქტების წარმოების გადიდების საშუალება. თვითონ ამხ. ივანოვამ მიზნად დაისახა გაადიდოს მისთვის მიჩენილი ძროხების წველადობა 5.360 კილოგრამიდან ექვსი ათას კილოგრამამდე წელიწადში.

უდიდეს რეზერვებზე ილაპარაკა სტავროპოლის მხარის საბჭოთა მეურნეობა „ტემიჟბეკსკის“ მერგოლურმა ნ. პ. ბელმასმა. პროფკავშირულ ორგანიზაციათა პირდაპირი მოვალეობაა დაეხმარონ ადამიანებს ამ რეზერვების გამოვლინებაში. საბჭოთა მეურნეობაში ამას წინათ გადასინჯეს და იკისრეს სიმინდის მოსავლის გადიდების გაზრდილი ვალდებულებანი. კერძოდ, ამხ. ბელმასის რგოლმა გადაწყვიტა 450 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

იმ სერიოზულ დახმარებაზე, რომელსაც სოფლის მეურნეობას უწევენ და შეუძლიათ გაუწიონ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, ილაპარაკა ტაჯიკეთის რესპუბლიკური პროფსაბჭოს თავმჯდომარემ დ. ისკანდაროვმა. ტაჯიკეთის საფეიქრო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა 1960 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას გეგმის გადამეტებით გაუგზავნეს 200 ტრანსპორტიორი მოკრეფილი ბამბის ჩასატვირთავად ავტომანქანებში.

ბევრი რამ გააკეთეს სოფლისათვის კურგან-ტიუბინსკის ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივებმაც, რომლებმაც საშეფო მეურნეობებს შეუკეთეს დიდძალი მოწყობილობა. ასეთი ფორმის დახმარება შეუძლია პრაქტიკულად დანერგოს თითქმის ყველა საწარმომ, თუ პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვნად მოჰკიდებენ ხელს ამ საქმეს.

რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. ლ. სმირნოვმა ილაპარაკა პროფკავშირთა დიდმნიშვნელოვან როლზე საბჭოთა მეურნეობის წარმოების განვითარებით მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესების პრინციპების განხორციელებაში. პროფკავშირულ კომიტეტებს ეკისრებათ დიდი პასუხისმგებლობა შრომის ანაზღაურების საკითხების სწორი გადაჭრისათვის. მინისტრმა პლენუმს აცნობა, რომ დასახულია დახმარება გაეწიოთ რუსეთის სფსრ ყამირის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. რამდენადაც გათვალისწინებულია შვიდწლედის დამლევამდე დამატებით ათვისებულ იქნეს 3,5 მილიონი ჰექტარი ახალი მიწა, ასიგნებანი კაპიტალური მშენებლობისათვის. გადიდდება 925 მილიონი მანეთით. გათვალისწინებულია აშენდეს ექვსი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ბევრი სკოლა, ინტერნატი, პურის საცხობი, სასადილო, საავადმყოფო, აბანო, სამრეცხაო. შემუშავებულ იქნება დამატებით ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს ტექნიკური დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, შემდგომ გაუმჯობესდეს სოფლის მშრომელთა კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

თურქმენეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ა. დ. ავეზკლიჩევმა, ბელორუსიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ნ. მაკაროვმა, საქართველოს ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ი. ხვიტიამ, სსრ კავშირის ცენტროსოიუზის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ი. მუკამ, პოლტავის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ი. მ. იაკუბოვმა და ბევრმა სხვა ორატორმა აღიარეს, რომ თუმცა პროფკავშირები დიდ დახმარებას უწევენ სოფლის მეურნეობას, მაგრამ არსებითად მათ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგეს ამ მიმართულებით. უნდა გააქტიურდეს მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირების, მოწინავე გამოცდილების სკოლების მუშაობა, უფრო ფართოდ უნდა განვითარდეს კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების მოძრაობა, პროფკავშირული მუშაობის ეს და სხვა ფორმები ხელს შეუწყობენ იმას, რომ დავრაზმოთ სოფლის მშრომელები, რომ ყოველ წელს ჩვენს ქვეყანაში იწარმოებოდეს მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, ბამბა, ჩაი...

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. გრიშინმა.

ვ. ვ. გრიშინის მოხსენების გამო მიღებულია გაშლილი დადგენილება, დადგენილებაში, კერძოდ, ნათქვამია:

მოიწონა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმს ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია დარაზმოს მშრომელთა შემოქმედებითი ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა იკისრონ მაღალი, მაგრამ შესასრულებლად რეალური სოციალისტური ვალდებულებანი, მოაწყონ ბრძოლა მათი შესრულებისათვის.

სსრ კავშირის პროფკავშირები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დოკუმენტებს როგორც საბრძოლო პროგრამას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

პროფესიულ კავშირთა 55 მილიონი წევრის სახელით საკავშირო პროფსაბჭოს VI პლენუმი აღუთქვამს კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ საბჭოთა პროფკავშირები მთელ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას მოახმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

* * *

შემდეგ პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

ა. ფ. მოსკალცის სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაათავისუფლა იგი საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩეულია გ. ტ. ჩერნოვი — სამხრეთ-დასავლეთ რკინიგზის სადგურ დარნიცის საორთქმავლო დეპოს მემანქანე.

პლენუმმა დაამთავრა მუშაობა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

ვის პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვა წელიწადში გაადიდეს 56 პროცენტით, რძისა — 19 პროცენტით, კვერცხისა — 29 პროცენტით. არ შესრულებულა აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა.

III.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების (გარდა კოლმეურნეობებისა) კაპიტალური დაბანდების მოცულობამ რესპუბლიკაში შეადგინა 349 მილიონი მანეთი და 1959 წლის კაპიტალურ დაბანდებას 9 პროცენტით გადააჭარბა. კაპიტალურმა დაბანდებამ სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სახსრების, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების არაცენტრალიზებული სახსრების ხარჯზე შეადგინა 298 მილიონი მანეთი და 1959 წელთან შედარებით გადიდდა 11 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდების სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 99,1 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა — 100,9 პროცენტით, საბინაო მშენებლობისა — 101 პროცენტით.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება ქიმიურ მრეწველობაში გაიზარდა 1959 წელთან შედარებით 1,5-ჯერ, მეტალურგიულ მრეწველობაში — 1,4-ჯერ, მსუბუქ მრეწველობაში — 1,5-ჯერ, მანქანათმშენებლობაში — 6 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში — 9 პროცენტით, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელ მრეწველობაში — 28 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდების სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1960 წელს შესრულებულია 98 პროცენტით და 1959 წლის დონე გადაჭარბებულია 8 პროცენტით.

შესრულებული აქვთ კაპიტალური დაბანდების საგეგმო დავალებანი: საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს, მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს, ჭიათურ-მარგანეცის ტრესტს, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტს, საქართველოს ნავთობის ტრესტს, საქართველოს შახტმშენის ტრესტს, საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტს, საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტს, საქართველოს ყველისა და კარაქის მრეწველობის ტრესტს, საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა ვერ შეასრულეს: საფეიქრო მრეწველობის სამმართველომ, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტმა, ჭიათურის მარგანმშენის ტრესტმა, თბილისის მრეწვმშენის ტრესტმა, საქართველოს ჩაის ტრესტმა, საქართველოს კონსერვტრესტმა, მშენებლობის სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ.

კაპიტალური დაბანდება მოხმარდა როგორც ახალ მშენებლობას, ისე მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას, გაფართოებასა და ტექნიკურ ხელახლა აღჭურვას.

წლის განმავლობაში ამუშავდა 15 ახალი სამრეწველო საწარმო და მოქმედ საწარმოთა 8 საამქრო.

ამუშავდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები შავსა და ფერად მეტალურგიაში, საშენ მასალათა მრეწველობასა და სამშენებლო ინდუსტრიაში, მსუბუქ, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგებში, ახალი ელექტროსადგურები და ელექტროგადაცემის მაღალძაბვიანი ხაზები; გაფართოვდა სიმძლავრეები მოქმედ საწარმოებში.

ამასთანავე არ არის შესრულებული მრეწველობის მთელ რიგ დარგებში საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების წლიური გეგმა.

საბინაო მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების მოცულობამ შეადგინა 47 მილიონი მანეთი.

გასულ წელს სულ საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფო და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხაზით 1205 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აქედან სახელმწიფო მშენებლობის ხაზით — 625 ათასი კვადრატული მეტრი. გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ ააშენეს 12,7 ათასი საცხოვრებელი სახლი.

საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა ვერ შეასრულეს: მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველომ, საფეიქრო მრეწველობის სამმართველომ, ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა, სამთამადნო მრეწველობის ტრესტმა, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამმართველომ, განათლების სამინისტრომ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ.

რესპუბლიკის საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა გასულ წელს წინა წელთან შედარებით 21 პროცენტით გაადიდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც შესრულებულია საკუთარი ძალებით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს საიჯარო ორგანიზაციებმა — 18 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროსი — 25 პროცენტით, წყალთა მეურნეობის სამინისტროსი — 65 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოებისა — 25 პროცენტით, აქედან მთავართბილისმშენმა — 28 პროცენტით, თბილგაზმშენის ტრესტმა — 26 პროცენტით.

1960 წლისათვის დაწესებული საიჯარო სამუშაოთა მოცულობა რესპუბლიკაში შესრულებულია 99,7 პროცენტით. საიჯარო სამუშაოთა მოცულობის შესრულებას დააკლეს წყალთა მეურნეობის სამინისტრომ — 8,9 პროცენტი, კავშირგაბმულობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ — 34 პროცენტი, ადგილობრივი საბჭოების საიჯარო ორგანიზაციებმა — 3,7 პროცენტი, აქედან თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამმართველომ — 44 პროცენტი და თბილგაზმშენის ტრესტმა — 5,5 პროცენტი. შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 9 პროცენტით გაიზარდა 1959 წელთან შედარებით.

მშენებლობაში კიდევ უფრო განვითარდა და დაინერგა უმნიშვნელოვანეს სახეობათა ახალი ტექნიკა, ამაღლდა სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, გადიდდა ტიპური პროექტების გამოყენება.

ამასთანავე სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციას ჯერ კიდევ აქვს არსებითი ნაკლოვანებანი, სამშენებლო მანქანები და მექანიზმები სრული სიმძლავრით არ არის გამოყენებული.

IV.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა რიცხვმა 1960 წელს, წინასწარი მონაცემებით, შეადგინა 927 ათასი კაცი და წლის განმავლობაში გადიდდა 60 ათასი კაცით.

მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი წლის განმავლობაში გადიდდა 40 ათასით.

სკოლების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-საკვლევი, სამკურნალო, სანიტარულ-საკურორტო დაწესებულებების მუშაკთა რიცხვი წლის განმავლობაში 10 ათასზე მეტით გადიდდა.

სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილების შესაბამისად 1960 წელს დამთავრდა მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა შემცირებულ ექვსი და შვიდი საათის სამუშაო დღეზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა ხორციელდებოდა მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად, ხოლო იმ დარგებში, სადაც ამავე დროს ხორციელდება ხელფასის მოწესრიგების ღონისძიებანი, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი დიდდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად — მცირეხელფასიან მუშაკთა ხელფასი.

1960 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებული იყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 190 ათასზე მეტი სპეციალისტი.

სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე მუშაობს 30 ათასამდე ინჟინერი, ტექნიკოსი და სხვა სპეციალისტი.

16 ათასზე მეტი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი მუშაობს კოლმეურნეობებში, სარემონტო ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

108 ათასზე მეტი სპეციალისტი დასაქმებულია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

1960 წელს მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა 5.365 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს სკოლები და სასწავლებლები.

ინდივიდუალურ-ბრიგადული შეგირდობისა და საკურსო სწავლების გზით გასულ წელს კვალიფიკაცია აიმაღლა და ახალი პროფესიები შეისწავლა 80 ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ.

1960 წელს სახელმწიფოს ხარჯზე რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო შარშანდელზე მეტი: მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის დახმარება, სოციალური უზრუნველყოფის პენსიები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარება, უფასოდ და შეღავათიან ფასებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, სტიპენდიები, უფასო სწავლება და მკურნალობა და სხვა შეღავათები.

1960 წელს ხორციელდებოდა სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა და საცხოვრებელ შენობათა ბუნებრივ გაზზე გადაყვანის სამუშაოები, აგრეთვე გრძელდებოდა შემდგომი მუშაობა რესპუბლიკის ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების გაზიფიკაციისათვის გათხევადებული გაზით.

ბუნებრივი გაზი გაყვანილია 4 ათასამდე ბინაში. მაგრამ ბინების გაზიფიკაციის გეგმა დამაკმაყოფილებლად ვერ შესრულდა. მაგალითად, ქალაქ თბილისში 1960 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 10 ათასი ბინის გაზიფიკაცია, ხოლო გაზიფიცირებულია სულ 2,7 ათასი ბინა.

წარმატებით მიმდინარეობდა გათხევადებული გაზით ბინების გაზიფიკაციის სამუშაოები. 1960 წელს გაზიფიცირებულ იქნა 7,7 ათასი ბინა, ანუ წლიური გეგმის 172 პროცენტი. სულ გათხევადებული გაზით გაზიფიკაციის დაწყებიდან გაზიფიცირებულია 18,6 ათასი ბინა რესპუბლიკის 16 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში.

შემდგომ გაიზარდა კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გადიდდა მისი საქონლიანობა და ფულადი შემოსავალი. კოლმეურნეებს მეტი ფული ეძლევათ მათი შრომადღის ასანაზღაურებლად.

მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით შემდგომ გადიდდა ანაბრები შემნახველ სალაროებში. 1960 წლის დამლევს ანაბრებმა შეადგინეს 211 მილიონი მანეთი წინა წლის 188 მილიონი მანეთის ნაცვლად; ანაბრების რაოდენობამ 762 ათასს მიაღწია და წლის განმავლობაში გადიდდა 39 ათასით.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და ფულადი შემოსავლის ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის მიერ საქონლის ყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, ამასთან სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის, საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ რესპუბლიკაში, 1960 წელს შეადგინა 1241,0 მილიონი მანეთი და 1959 წელთან შედარებით გადიდდა, შესადარ ფასებში, 11 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვამ, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფლად, შეადგინა 365,3 მილიონი მანეთი და გადიდდა, შესადარ ფასებში, 13 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა შეასრულეს — 102 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობისა — 102 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 103 პროცენტით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებმა საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შეასრულეს 102 პროცენტით, სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 105 პროცენტით.

მოსახლეობისათვის ცალკეული საქონლის მიყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში გადიდდა შემდეგი ოდენობით:

	გაიყიდა 1960 წელს პროცენტობით 1959 წელთან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და სხვა ხორცპროდუქტი	117
ერბო-კარაქი	105
რძე და რძის პროდუქტი	116
ყველი	114
შაქარი	115
საკონდიტრო ნაწარმი	111
კარტოფილი	106
ბოსტნეული	109
ბამბის ქსოვილი	108
შალეული	109
შეკერილი ნაწარმი	104
წინდა	101
ტყავის ფეხსაცმელი	108
ავეჯი	114
საოჯახო მაცივარი	117
ტელევიზორი	149
მტვერსასრუტი	109
საკერავი მანქანა	110

1960 წლის 1 მარტიდან შემცირდა რძისა და რძის პროდუქტების, აბრეშუმის ქსოვილის, შეკერილი ნაწარმის, გალანტერიის, სასპორტო და რადიოსაქონლის, ველოსიპედისა და მოტოციკლის და სახალხო მოხმარების ზოგიერთი სხვა საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები.

1960 წელს გრძელდებოდა საქონლის გაყიდვა ნისიად ნაწილ-ნაწილ გადახდევინებით. წლის განმავლობაში ნისიად გაყიდული საქონლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 3,5 მილიონი მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვა მნიშვნელოვნად გადიდდა, მოსახლეობის მოთხოვნა 1960 წელს ზოგიერთი სახეობის ბამბის ქსოვილსა და შალეულზე, საოჯახო მაცივრებზე, სარეცხ მანქანებზე, საკერავ მანქანებზე, ავეჯზე, მინის, ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელსა და საშენ მასალაზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა. ამავე დროს მრეწველობა და ვაჭრობა საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნას საქონლის ასორტიმენტსა და ხარისხზე, რის შედეგად სავაჭრო ორგანიზაციებს უგროვდებათ საქონლის მარაგი.

თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საკოლმეურნეო ბაზრებზე 1959 წელთან შედარებით გადიდდა ბოსტნეულის, ახალი ხილის, ფრინველისა და სხვა პროდუქტების გაყიდვა. ამავე დროს დაიკლო ძროხის ხორცის, ცხვრის ხორცის, ღორის ხორცის, კვერცხის, მცენარეული ზეთისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტის ფასებმა.

შემდგომი წარმატებებია მიღწეული სოციალისტური კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

მოსწავლეთა რიცხვი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მათ შორის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, 1960 წელს 1959 წელთან შედარებით გადიდდა 36 ათასით და შეადგინა 702 ათასს, აქედან 35 ათასზე მეტს შეადგენენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლენი.

გასულ სასწავლო წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 29 ათასმა კაცმა.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად, რესპუბლიკაში მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო მუშაობის გარდაქმნა. საწარმოო სწავლებაში ჩაბმულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 17 ათასამდე მოსწავლე, ანუ ერთიორად და კიდევ მეტი, ვიდრე 1959 წელს. შემდგომ განვითარდა სკოლა-ინტერნატები. ამ სკოლების მოსწავლეთა რიცხვი შეადგენს 10,6 ათასს, რაც 4,8 ათასით მეტია, ვიდრე იყო წინა სასწავლო წელს.

რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მათ შორის დაუსწრებლებში, სწავლობს 82 ათასზე მეტი კაცი, აქედან 38 ათასზე მეტი კაცი სწავლობს წარმოებას მოუწყვეტლივ.

უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე მიღებულთა შორის 48 პროცენტს შეადგენენ პირები, რომლებსაც აქვთ სულ ცოტა ორი წლის მუშაობის პრაქტიკული სტაჟი.

უმაღლესმა სასწავლებლებმა, მათ შორის დაუსწრებლებმა, გასულ სასწავლო წელს გამოუშვეს 7,5 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი, საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა — 7,3 ათასი.

ვითარდებოდა კინო. 1960 წელს კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გამოუშვა 5 ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი და 3 მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

კულტურის სამინისტროს სისტემის კინოდანადგართა რაოდენობა 1960 წლის დამლევს შეადგენდა 1107-ს, ანუ 7 პროცენტით მეტს, ვიდრე 1959 წელს.

კინოსეანსების მაყურებელთა რიცხვი 1959 წელთან შედარებით გადიდდა და 1960 წელს შეადგენდა 41 მილიონს.

იზრდება მაყურებელთა რიცხვი რესპუბლიკის თეატრებში. გასულ წელს თეატრებში სპექტაკლებს დაესწრო 2,7 მილიონზე მეტი კაცი.

კულტურის სამინისტროს სისტემაში 1960 წელს იყო 1313 მასობრივი ბიბლიოთეკა და 1488 საკლუბო დაწესებულება.

1960 წლის ზაფხულში პიონერთა ბანაკებში ისვენებდა 42 ათასზე მეტი ბავშვი.

გრძელდებოდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარება და რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. 1960 წელს საწოლთა რიცხვი საავადმყოფოებსა და სამშობიარო სახლებში შეადგენდა 30 ათასს, მუდმივ საბავშვო ბაგებში იყო 13 ათასამდე ადგილი, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში — 18 ათასზე მეტი საწოლი. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გასულ წელს მკურნალობდა და ისვენებდა 200 ათასზე მეტი კაცი.

რესპუბლიკაში განხორციელდა მოსამზადებელი მუშაობა 1961 წლის 1 იანვრიდან ფასების ახალ მასშტაბზე გადასვლისათვის.

გადაანგარიშებულია საქონლის ფასები და მომსახურების ტარიფები, აგრეთვე მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები.

სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებმა და საერთო სარგებლობის ტრანსპორტმა მიიღეს გადაანგარიშებული, ახლად გამოცემული ფასების პრეისკურანტები და ტარიფების კრებულები.

გადაანგარიშებულია სატარიფო განაკვეთები, სანარდო შეფასებანი, მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის განაკვეთები, სტიპენდიები, პენსიები, დახმარებანი, სადაზღვევო ანაზღაურებანი და სხვ.

გადაანგარიშებულია აგრეთვე მოსახლეობის სადაზღვევო, საგადასახადო და სხვა გადასახდელები.

შემნახველმა სალაროებმა გადაიანგარიშეს მშრომელთა ანაბრები. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გადასაცვლელი პუნქტები დროზე მოეწყო და უზრუნველყოფილ იქნა ახალი ფულის ბილეთებით და ახალი ნიმუშის ლითონის ხურდა ფულით.

მოსახლეობას დროზე გააცნეს გადასაცვლელი პუნქტების დისლოკაცია და ახალი ფულის ნიმუშები.

• • •

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ, რომ განუხრელად იზრდება რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა და წარმატებით შესრულდა შვიდწლედის მეორე წლის დავალებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

1961 წლის 19 იანვარი. ქ. თბილისი.

ხალხის სიმღერა

IX საიუბილეო ოლიმპიადა

25 იანვარი. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ხალხით სავსე დარბაზი. მიმდინარეობს მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადა.

მთებიდან ჩამოვიდნენ, ბარიდან მოვიდნენ სახალხო შემოქმედნი. დედაქალაქში მოიტანეს თავიანთი შემოქმედება — გულწრფელი და ხალასი, ლაღი და ტკბილი...

მცხეთა. სვეტიცხოველი და ჯვარი, შეუღლებული მტკვარი და არაგვი. ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი — „მცხეთა“. თვალწინ გარბიან ძველი დედაქალაქის სურათები. ასე იყო წარსულში — ბრძოლა და სიდუხჭირე. ასეა დღეს — ხალისი და სიხარული. ამაყად გაისმის კომპოზიტორ ირ. გეჯაძის მუსიკა.

სცენაზეა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი.. „ვაჟთა მთიულური“ — წითელი და შავი ჩოხები.

სცენაზეა ახალციხის რაიონის ანსამბლი. ვოკალური ტრიო ძველ ხალხურ „ერეხელას“ მღერის. გუნდი მ. ჩირინაშვილის „სიმღერას ახალციხეზე“ ასრულებს.

ახალციხელებს ლაგოდეხის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ენაცვლება. გუნდი კარგად ასრულებს კომპოზიტორ რ. ლაღიძის სიმღერას — „გვიხმობს სამშობლო“ და ხალხურ „იმერულ მგზავრულს“. მერე ცეცხლოვანი ცეკვა „ქართული“ და მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოებს შემსრულებლებს.

ბოლნისელები ძველ ხალხურ სიმღერებს მღერიან. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი აგუგუნებს „ჩაკრულოს“, „ნანას“. მოცეკვავენი მთიელთა სალხინოს ასრულებენ.

ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სარაიონო სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ოსტატურად ასრულებს არ. ჩიმაკაძის — „სიმღერას ბორჯომზე“, ა. მაჭავარიანის „გაზაფხულს“.

მქუხარე ტაშით შეხვდა მაყურებელი ზუგდიდის სარაიონო კულტურის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლას. გუგუნებს გრ. კოკელაძის „სიმღერა პარტიაზე“, საუკეთესო იყო სიმღერა — ცეკვით „ძაბრალე-ჭარირათი“, ზუგდიდელებმა მაყურებელს მოაწონეს ცეკვა „სალხინოც“.

ზესტაფონის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა შესრულა ხალხური „ადილა“, ვ. ცაგარეიშვილის კანტანტა თბილისზე, მოწონება ხვდა იმერულ სახასიათო სიმღერას.

ვრცელი პროგრამა წარმოადგინა ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლმა. ცქვიტად დაჭრიან მოცეკვავენი. გურული კრიმანჭული ხომ განუმეორებელია სირთულითა და სილამაზით. განსაკუთრებული მოწონება ცეკვა „ლელომ“ დაიმსახურა. ეს მშვენიერი ხალხური თამაში შესანიშნავად იყო ხორცშესხმული ცეკვაში. მოცეკვავეებმა თერთმეტი თასი შემოიტანეს — რაიონი თერთმეტი გზის ჩემპიონია ლელოში.

გვიანობამდე გრძელდებოდა ზეიმი. ტკბილად ჟღერდა სიმღერები. მრავალფეროვანი ცეკვები აღტაცებას იწვევდნენ.

კონცერტს ესწრებოდნენ ამხანაგები: **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ე. ა. შევარდნაძე.**

კენედის პირველი დღეები თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 26 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **გ. შიშკინი** იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი კენედი ყოველდღე აწყობს ხანგრძლივ თათბირებს, რომლებშიც მონაწილეობენ სახელმწიფო მდივანი რასკი, თავდაცვის მინისტრი მაკნემარა და კაბინეტის სხვა წევრები და სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელები. როგორც პრესა იუწყება, ამ თათბირებზე განიხილავენ უწინარეს ყოვლისა უმნიშვნელოვანეს საგარეოპოლიტიკურ საკითხებს — ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის, განიარაღების, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის, ლაოსში არსებული მდგომარეობისა და სხვა საკითხებს.

იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილებებს იღებენ თეთრი სახლის კედლებში, ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან. მაგრამ გაზეთები სულ უფრო ხშირად იწყებენ წერას, თუ როგორია ხელმძღვანელობის ახალი სტილი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და სხვა გაზეთები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტი „მშვიდი დიპლომატიის“ მომხრეა.

ცნობილმა მიმომხილველმა ლიპმანმა პრეზიდენტის პოსტზე კენედის ასვლის შემდეგ გაიხსენა, რომ ეიზენჰაუერის დროს მის მიერ გამოცხადებული საერთო კეთილი პრინციპები ხშირად სცილდებოდა მისივე მთავრობის საქმეებს. სწორედ ამიტომ, მიესალმებოდა რა კენედის სიტყვას პრეზიდენტის პოსტზე ასვლისას, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა „იქცეს დიდი საერთო დებულებანი პოლიტიკად, პოლიტიკა კი — მოქმედების პროგრამად“.

აქ გამეფებულმა მოუთმენელმა მოლოდინმა, თუ რა მიმართულებით გადადგამს პირველ ნაბიჯებს ახალი მთავრობა, თავისი გამოხატულება პოვა იმ უდიდეს ინტერესში, რაც გამოიჩინეს 25 იანვარს საღამოს გამართულ კენედის პირველი პრეს-კონფერენციისადმი. პირველად პრეზიდენტის პრეს-კონფერენციას ყველა სატელევიზიო სადგური უშუალო დარბაზიდან გადასცემდა მთელ ამერიკაში. კენედის პირადი მითითებით შეიცვალა აგრეთვე პრეს-კონფერენციის მოწყობის ადგილსამყოფელი. ეიზენჰაუერი თავის პრეს-კონფერენციებს აწყობდა თეთრი სახლის გვერდით მდებარე ძველ ადმინისტრაციულ შენობაში, მიუხედავად იმისა, რომ კორესპონდენტები გამუდმებით ჩიოდნენ აქ სივიწროვეა და ხმაც ცუდად ისმისო. კენედის პრეს-კონფერენცია გაიმართა თეთრი სახლის მოშორებით — სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი შენობის კონფერენც-დარბაზში, რომელიც სპეციალურადაა მოწყობილი ამ მიზნით. პრეზიდენტის მითითებით შეიცვალა კონფერენციის გამართვის წესიც. გაუქმებულია, კერძოდ, პრეს-კონფერენციის დროის განსაზღვრა 30 წუთით და ის საყოველდებულო წესი, რომ ყველამ, ვისაც შეკითხვა შეაქვს, დაასახელოს თავისი გვარი და პრესის ორგანო, რომელსაც წარმოადგენს. ყოველივე ეს, თეთრ სახლთან აკრედიტებულ ჟურნალისტთა აზრით, ხელს უწყობს წინათ არსებული უცხოელ კორესპონდენტთა დისკრიმინაციის აღმოფხვრას და ნორმალურ პირობებს ქმნის პრეს-კონფერენციის გასაშუქებლად.

უპასუხებდა რა კორესპონდენტთა კითხვებზე, ახალი პრეზიდენტი მშვიდად ლაპარაკობდა. კენედიმ აუწყა ამერიკელებს, რომ გამოსცა ბრძანება არ განახლდეს ამერიკის თვითმფრინავების ფრენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მან კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა მთავრობის იმ გადაწყვეტილების გამო, რომ გაანთავისუფლოს „რბ-47“ თვითმფრინავის ორი ამერიკელი მფრინავი, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი სპობს სერიოზულ დაბრკოლებას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე.

კენედის განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკის მთავრობამ მოითხოვა გადაიდოს ვადა მოლაპარაკებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რათა უკეთ მოემზადოს მოლაპარაკებისათვის, და რომ „მშვიდი დიპლომატიის“ მიზანია გამოძებნონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზები, კმაყოფილებით მიიღო მრავალმა კორესპონდენტმა. ახალი პრეზიდენტის ამ სიტყვებს კეთილნაყოფიერად გამოეხმაურა ბევრი კონგრესმენიც. საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მფრინავთა საკითხში შეთანხმების მიღწევას სენატორმა ფრენკ კარლსონმა „უკანასკნელი 10 წლის ყველაზე საუკეთესო ახალი ამბავი“ უწოდა. სენატორი ფრენკ ჩერჩი მიესალმა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგებს და დაახასიათა იგი „როგორც პირველი მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური მიღწევა ახალი მთავრობისა“. სენატორმა ანდერსონმა მხარი დაუჭირა მთავრობის გადაწყვეტილებას სთხოვოს ჟენევის მოლაპარაკების ვადის გადადება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „ჩავიდეთ ჟენევაში მტკიცედ განსაზღვრული პოზიციით“.

მაგრამ კენედის სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროა შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა და რომ შეთანხმება მფრინავთა შესახებ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ყველას როდი მოეწონა. არჩევნებში დამარცხებული რესპუბლიკური პარტიის უკიდურესად მემარცხენე წრეების წარმომადგენლები და თვით ზოგიერთი ყველაზე რეაქციონერი დემოკრატი აშკარად თავს დაესხნენ პრეზიდენტის მიერ დაკავებულ პოზიციას. წარმომადგენელთა პალატის წევრი, რესპუბლიკელი უილიამ ეველი იქამდე მივიდა, რომ მფრინავთა განთავისუფლება გამოაცხადა „კომუნისტურ შეთქმულებად, რომელიც მიზნად ისახავს სამძიმო მდგომარეობაში ჩააყენოს შეერთებული შტატები“. პრეს-კონფერენციის ტონმაც კი უკმაყოფილება გამოიწვია“. ხალხს შეიძლება შეექმნეს შთაბეჭდილება, — მქუხარედ განაცხადა რესპუბლიკელმა სენატორმა აიკენმა, — რომ პრეზიდენტი მადლობას უხდის რუსეთს ორი მფრინავის განთავისუფლებისათვის“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ნიუ-იორკი, 26 იანვარი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, სახელმწიფო დეპარტამენტში დღეს მიღებული ცნობების მიხედვით, სამხედრო-სამოქალაქო ხუნტის მთავრობა სალვადორში დამხობილია.

სალვადორის რადიოსადგურმა გადასცა ცნობა, რომელშიც ახალი მთავრობა აცხადებს, რომ იგი სამხედრო და ანტიკომუნისტური მთავრობაა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გვატემალიდან იუწყება, სალვადორის ახალი მთავრობის სათავეში არის ალონსო კასტილიო, რომელსაც დამხობილ მთავრობაში თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა.

ლონდონი, 26 იანვარი. (საკდესი). კვლავ ბობოქრობს ტყის ხანძარი, რომელიც 22 იანვარს დაიწყო დასავლეთ ავსტრალიაში. გრიგალის გამო ხანძარი სწრაფად ედება ახალ რაიონებს. ხანძრის შედეგად მოსპობილია სამი დაბა ჯარახის ხშირ ტყეებში, პერტის სამხრეთით.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ცეცხლმა მოსპო ყველაფერი 10 მილი სიგრძისა და 3 მილი სიგანის ფართობზე.

ნიუ-იორკი, 26 იანვარი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საპატრულო ბომბდამშენმა „ნეპტუნმა“, რომელმაც 900 მილზე ტრინიდადის აღმოსავლეთით აღმოაჩინა პორტუგალიის ლაინერი „სანტა მარია“, რადიოკავშირი დაამყარა მასთან და მოითხოვა, რომ გემი დაბრუნდეს სან-ხუანში (პუერტო-რიკო). მაგრამ გემის სარდლობამ უარი თქვა ამაზე და განაცხადა, რომ გემი მიდის ანგოლაში (პორტუგალიის დასავლეთი აფრიკა).

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ლაინერზე მომხდარი აჯანყების ხელმძღვანელმა ენრიკე გალვაომ წინადადება წამოაყენა გამართოს მოლაპარაკება „სანტა-მარიაზე“ ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, გარდა პორტუგალიისა და პორტუგალიის მოკავშირის — ესპანეთის წარმომადგენლებისა.

XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი

მოსკოვი. 26 იანვარი. (ტელეფონით). მეათე ტურით, რომელიც დღეს გაიმართა რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში, დამთავრდა ჩვენი ქვეყნის XXVIII საჭადრაკო პირველობის პირველი ნახევარი.

ამ ტურში პირველ რიგში ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერის ბ. სპასკისა და გროსმაისტერ ლ. პოლუგაევსკის პარტია, მაგრამ იგი არ დამთავრებულა. ასევე დაუმთავრებელი დარჩა ა. ჩერეპკოვ - ა. ბანიკის, ი. ავერბახ - ვ. ტარასოვისა და დ. ბრონშტეინ-გ. ბორისენკოს პარტიები.

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ტ. პეტროსიანმა. მან დაამარცხა ს. ფურმანი. ე. გელერმა მოუგო ა. ლუტიკოვს, ვ. სმისლოვმა — ვ. კორჩნოის, მ. ტაიმანოვმა — ა. ხასინს. ი. ბოლესლავსკ - ლ. შტეინისა და ე. გუფელდ-ვ. სიმაგინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ათი ტურის შემდეგ ლიდერები არიან ე. გელერი და ტ. პეტროსიანი, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ.

საიუბილეო სპარტაკიადა

ბაკურიანი. 26 იანვარი. (ტელეფონით). აქ გრძელდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადა სპორტის ზამთრის სახეობებში.

დღეს გაიმართა შეხვედრები სათხილამურო გადარბენებში ქალთათვის 10 და ვაჟთათვის 40 კილომეტრზე, ასპარეზობა სპეციალურ სლალომში და მატჩები ჰოკეიში.

მიუხედავად ძლიერი ქარბუქისა, სპორტსმენებმა კარგი შედეგები აჩვენეს. ქალთათვის 10 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში უძლიერესი იყო ვ. იურკინა (ბათუმი), რომელმაც დისტანცია გაიარა 50 წუთსა და 44 წამში.

ვაჟთა შორის 40 კილომეტრი ყველაზე ადრე გაიარა ტ. კორძაიამ (მესტია), დრო — 2 საათი, 16 წუთი და 38 წამი.

სპეციალურ სლალომში 450 მეტრზე ქალთა შორის პირველი იყო ლ. გოგოლაძე (თბილისი, 2 წუთი და 6,8 წამი), ვაჟთა შორის — ი. ჯანგობეგოვი (ბორჯომი, 1 წუთი და 52,6 წამი).

შედგა ჰოკეისტთა მორიგი შეხვედრები. მატჩების შედეგები ასეთია: ქუთაისი-თბილისი II — 5 : 1, თბილისი I-დუშეთი — 22 : 0, ბათუმი-ადიგენი — 10 : 0.

ამინდი

28 და 29 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 4-9 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი და ნისლი, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

27 იანვარი



თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — გორდა (მე-3 აბონ. მე-5 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა, **მარჯანიშვილის სახელობის** — რაც გინახავს, ველარ ნახავ, **გრიბოედოვის სახელობის** — სახიფათო ასაკი, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჭირვეული ქმრის მორჯულება (რკინიგზელთა სახლში).

ტელევიზია: 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „კვესი“, 19.35 — ახალი ამბები, 19.45 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იავნანა“ № 1, 20.45 — მხატვრული ფილმი — „მე შენ გეძებ“ მაყურებელთა თხოვნით.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშ ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 00913
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.